

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება	8

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1	ჯგუფი და მისი საქმიანობა.....	9
2	ჯგუფის საოპერაციო გარემო	10
3	არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	25
5	ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები	29
6	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები.....	30
7	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	32
8	ძირითადი საშუალებები.....	34
9	საინვესტიციო ქონება.....	36
10	ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში.....	37
11	მარაგები.....	37
12	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	38
13	გაცემული სესხები	41
14	ვადიანი დეპოზიტები.....	43
15	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	43
16	განთავსებული კაპიტალი.....	44
17	ნასესხები სახსრები	44
18	ცვლილებები ფინანსური ოპერაციებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში	45
19	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	47
20	მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები.....	47
21	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	48
22	დისტრიბუციის დანახარჯები.....	49
23	საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები.....	49
24	სხვა შემოსულობები/(ზარალი),ნეტო.....	50
25	ფინანსური შემოსავალი.....	50
26	ფინანსური დანახარჯები.....	50
27	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	51
28	ფინანსური რისკის მართვა	52
29	კაპიტალის მართვა	59
30	რეალური ღირებულების შეფასება	60
31	ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით	64
32	საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	65

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფის და კომპანიის საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ჯგუფის და კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შედგება არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან და კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად,

ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ან კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის და კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვცნობით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის და კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი ან კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვგეგმავთ და წარვმართავთ ჯგუფის აუდიტს რათა მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოების ან ბიზნეს ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება ჩამოვაყალიბოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჯგუფის აუდიტის მიზნებისთვის შესრულებული აუდიტის სამუშაოს წარმართვაზე, ზედამხედველობასა და გადახედვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

2025 წლის 4 ივლისი
თბილისი, საქართველო

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის და კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი ან კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ვგეგმავთ და წარვმართავთ ჯგუფის აუდიტს რათა მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოების ან ბიზნეს ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება ჩამოვაყალიბოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჯგუფის აუდიტის მიზნებისთვის შესრულებული აუდიტის სამუშაოს წარმართვაზე, ზედამხედველობასა და გადახედვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ნ. ქადაგიშვილი

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

2025 წლის 4 ივლისი
თბილისი, საქართველო

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	178,013	124,934
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		4,639	6,654
საინვესტიციო ქონება	9	108,610	95,036
აქტივის გამოყენების უფლება		1,998	3,551
არამატერიალური აქტივები		1,460	309
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	10	445	1,715
გაცემული სესხები	13	30,470	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		325,635	232,199
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	38,705	36,002
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	19,453	26,886
გაცემული სესხები	13	11,003	39,298
ვადიანი დეპოზიტები	14	9,690	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	15	18,698	34,321
სულ მოკლევადიანი აქტივები		97,549	136,507
სულ აქტივები		423,184	368,706
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	16	8,754	8,754
გაუნაწილებელი მოგება		296,327	210,051
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	8	40,466	40,466
სხვა რეზერვები		(5,102)	(3,833)
სულ საკუთარი კაპიტალი		340,445	255,438
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	17,549	28,248
საიჯარო ვალდებულებები		1,381	1,989
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	-	3,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		18,930	33,237
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	11,005	33,136
საიჯარო ვალდებულებები		1,135	1,719
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	51,573	43,982
სახელშეკრულებო ვალდებულებები		96	1,099
დეპოზიტური ვალდებულებები		-	95
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		63,809	80,031
სულ ვალდებულებები		82,739	113,268
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		423,184	368,706

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2025 წლის 4 ივლისს.

ვახტანგ ლალიძე
 დირექტორი

გიორგი ახალაძე
 ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-65 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	178,013	124,934
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		4,639	6,654
საინვესტიციო ქონება	9	108,610	95,036
აქტივის გამოყენების უფლება		1,998	3,551
არამატერიალური აქტივები		1,460	309
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	10	445	1,715
გაცემული სესხები	13	30,470	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		325,635	232,199
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	38,705	36,002
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	19,453	26,886
გაცემული სესხები	13	11,003	39,298
ვადიანი დეპოზიტები	14	9,690	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	15	18,698	34,321
სულ მოკლევადიანი აქტივები		97,549	136,507
სულ აქტივები		423,184	368,706
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	16	8,754	8,754
გაუნაწილებელი მოგება		296,327	210,051
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	8	40,466	40,466
სხვა რეზერვები		(5,102)	(3,833)
სულ საკუთარი კაპიტალი		340,445	255,438
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	17,549	28,248
საიჯარო ვალდებულებები		1,381	1,989
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	-	3,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		18,930	33,237
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	11,005	33,136
საიჯარო ვალდებულებები		1,135	1,719
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	51,573	43,982
სახელშეკრულებო ვალდებულებები		96	1,099
დეპოზიტური ვალდებულებები		-	95
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		63,809	80,031
სულ ვალდებულებები		82,739	113,268
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		423,184	368,706

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2025 წლის 4 ივლისს.

გახტანგ ლალიძე
დირექტორი

გიორგი ახალაძე
ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-65 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები			
	20	503,770	455,115
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	21	(334,322)	(310,481)
მთლიანი მოგება			
		169,448	144,634
შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან			
		92	310
შემოსავალი იჯარით გაცემული მოწყობილობებიდან			
		560	382
ფინანსური შემოსავალი იჯარიდან			
		-	372
დისტრიბუციის დანახარჯები	22	(67,605)	(38,494)
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	23	(28,817)	(30,065)
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	12	(274)	(15,672)
სხვა შემოსულობები/(ზარალი), ნეტო	24	10,402	(13,710)
საოპერაციო მოგება			
		83,806	47,757
ფინანსური შემოსავალი	25	5,639	2,676
ფინანსური დანახარჯები	26	(3,169)	(8,417)
მოგება დაბეგვრამდე			
		86,276	42,016
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება			
		86,276	42,016
სხვა სრული შემოსავალი/ (ზარალი):			
<i>ის მუხლები, რომლებიც არ იქნება რეკლასიფიცირებული მოგება-ზარალში:</i>			
სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებული წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობები შემცირებული ზარალით			
	10	(1,269)	(1,818)
წლის სხვა სრული ზარალი			
		(1,269)	(1,818)
სულ წლის სრული შემოსავალი			
		85,007	40,198

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-65 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა (*)	სულ
<i>ათასი ლარი</i>					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	8,754	40,466	168,035	(2,015)	215,240
წლის მოგება	-	-	42,016	-	42,016
სხვა სრული ზარალი	-	-	-	(1,818)	(1,818)
სულ სრული შემოსავალი 2023 წლისთვის	-	-	42,016	(1,818)	40,198
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	8,754	40,466	210,051	(3,833)	255,438
წლის მოგება	-	-	86,276	-	86,276
სხვა სრული ზარალი	-	-	-	(1,269)	(1,269)
სულ სრული შემოსავალი 2024 წლისთვის	-	-	86,276	(1,269)	85,007
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	8,754	40,466	296,327	(5,102)	340,445

(*) სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებული წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობები შემცირებული ზარალით.

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		86,276	42,016
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	14,244	11,650
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		61	59
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა		1,999	1,443
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	12	274	15,672
ძირითადი საშუალებების გასვლიდან ნეტო (შემოსულობა) /ზარალი		(1,602)	1,645
ზარალი საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	9,24	(10,538)	8,637
საპროცენტო შემოსავალი	25	(3,345)	(3,048)
საპროცენტო ხარჯი	26	3,169	7,163
გაუფასურებული მარაგების ჩამოწერა/(რევერსალი)	12,21	410	(107)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი), ნეტო	24,25,26	1,812	1,578
სხვა არაფულადი ოპერაციები		231	(320)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		92,991	86,388
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		7,502	(1,857)
მარაგების ზრდა		(4,387)	(10,515)
სხვა გრძელვადიანი აქტივების ზრდა		-	(113)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(5,932)	15,519
სახელმწიფო ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(1,003)	1,035
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		(3,820)	4,069
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		603	26
გადახდილი პროცენტი		(4,433)	(7,193)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		85,341	83,290
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(58,438)	(36,995)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		4,803	1,643
საინვესტიციო ქონების შეძენა	9	(3,036)	(8,328)
ფინანსური საიჯარო მოთხოვნებიდან მიღებული შემოსავლები		-	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,210)	(54)
ვადიანი დეპოზიტების განთავსება	14	(19,690)	-
ვადიანი დეპოზიტებიდან თანხის მიღება	14	10,000	-
დაკავშირებულ მხარეებზე სესხის გაცემა		(190)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(67,761)	(43,734)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	18	4,000	21,451
შემოსულობები მომწოდებლისგან მიღებულ დაფინანსებაზე	18	4,992	-
ნასესხების სახსრების გადახდა	18	(34,953)	(41,398)
მომწოდებლისთვის მიღებული დაფინანსების გადახდები	18	(4,992)	-
იჯარის ვალდებულებების ძირითადი თანხის გადახდა	18	(2,211)	(1,346)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(33,164)	(21,293)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		(39)	(11)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	15	34,321	16,069
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	15	18,698	34,321

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-65 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	177,954	124,876
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		4,639	6,654
საინვესტიციო ქონება	9	99,911	88,474
აქტივის გამოყენების უფლება		1,998	3,551
არამატერიალური აქტივები		1,459	307
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	10	445	1,715
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში		4,413	4,013
გაცემული სესხები	13	30,470	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		321,289	229,590
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	38,704	35,994
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	19,372	26,728
გაცემული სესხები	13	11,003	39,298
ვადიანი დეპოზიტები	14	9,690	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	15	18,507	34,176
სულ მოკლევადიანი აქტივები		97,276	136,196
სულ აქტივები		418,565	365,786
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	16	8,754	8,754
გაუნაწილებელი მოგება		292,044	207,746
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	8	40,466	40,466
სხვა რეზერვები		(5,102)	(3,833)
სულ საკუთარი კაპიტალი		336,162	253,133
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	17,549	28,248
საიჯარო ვალდებულებები		1,381	1,989
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	-	3,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		18,930	33,237
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	11,005	33,136
საიჯარო ვალდებულებები		1,135	1,719
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	51,237	43,367
სახელმწიფო ვალდებულებები		96	1,099
დეპოზიტური ვალდებულებები		-	95
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		63,473	79,416
სულ ვალდებულებები		82,403	112,653
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		418,565	365,786

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2025 წლის 4 ივლისს.

ვახტანგ ლალიძე
 დირექტორი

გიორგი ახალაძე
 ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-65 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	177,954	124,876
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		4,639	6,654
საინვესტიციო ქონება	9	99,911	88,474
აქტივის გამოყენების უფლება		1,998	3,551
არამატერიალური აქტივები		1,459	307
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	10	445	1,715
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში		4,413	4,013
გაცემული სესხები	13	30,470	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		321,289	229,590
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	38,704	35,994
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	19,372	26,728
გაცემული სესხები	13	11,003	39,298
ვადიანი დეპოზიტები	14	9,690	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	15	18,507	34,176
სულ მოკლევადიანი აქტივები		97,276	136,196
სულ აქტივები		418,565	365,786
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	16	8,754	8,754
გაუნაწილებელი მოგება		292,044	207,746
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	8	40,466	40,466
სხვა რეზერვები		(5,102)	(3,833)
სულ საკუთარი კაპიტალი		336,162	253,133
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	17,549	28,248
საიჯარო ვალდებულებები		1,381	1,989
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	-	3,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		18,930	33,237
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	11,005	33,136
საიჯარო ვალდებულებები		1,135	1,719
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	51,237	43,367
სახელშეკრულებო ვალდებულებები		96	1,099
დეპოზიტური ვალდებულებები		-	95
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		63,473	79,416
სულ ვალდებულებები		82,403	112,653
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		418,565	365,786

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2025 წლის 4 ივლისს.

ვახტანგ ლაღიძე
დირექტორი

გიორგი ახალაძე
ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-65 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
მომხმარებელთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები	20	503,770	455,115
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	21	(334,322)	(310,472)
მთლიანი მოგება			
		169,448	144,643
შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან		-	250
შემოსავალი იჯარით გაცემული მოწყობილობებიდან		560	381
ფინანსური შემოსავალი იჯარიდან		-	371
დისტრიბუციის დანახარჯები	22	(67,603)	(38,484)
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	23	(28,509)	(29,968)
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	12	(273)	(15,672)
სხვა შემოსულობები/(ზარალი), ნეტო	24	8,205	(13,585)
საოპერაციო მოგება			
ფინანსური შემოსავალი	25	5,639	2,676
ფინანსური ხარჯები	26	(3,169)	(8,410)
მოგება დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება			
		84,298	42,202
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი):			
<i>ის მუხლები, რომლებიც არ იქნება რეკლასიფიცირებული მოგება-ზარალში:</i>			
<i>სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებული წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობები შემცირებული ზარალით</i>			
	10	(1,269)	(1,818)
წლის სხვა სრული ზარალი			
		(1,269)	(1,818)
სულ წლის სრული შემოსავალი			
		83,029	40,384

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-65 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა (*)	სულ კაპიტალი
<i>ათასი ლარი</i>					
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	8,754	40,466	165,544	(2,015)	212,749
წლის მოგება	-	-	42,202	-	42,202
სხვა სრული ზარალი	-	-	-	(1,818)	(1,818)
სულ სრული შემოსავალი 2023 წლისთვის	-	-	42,202	(1,818)	40,384
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	8,754	40,466	207,746	(3,833)	253,133
წლის მოგება	-	-	84,298	-	84,298
სხვა სრული ზარალი	-	-	-	(1,269)	(1,269)
სულ სრული შემოსავალი 2024 წლისთვის	-	-	84,298	(1,269)	83,029
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	8,754	40,466	292,044	(5,102)	336,162

(*) სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებული წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობები შემცირებული ზარალით

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან		84,298	42,202
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	14,244	11,650
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		58	59
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა		1,999	1,443
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	12	273	15,672
ძირითადი საშუალებების გასვლიდან ნეტო (შემოსულობა)/ზარალი		(1,602)	1,645
ზარალი საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	9,24	(8,401)	8,613
საპროცენტო შემოსავალი	25	(3,345)	(3,047)
საპროცენტო ხარჯი	26	3,169	7,156
გაუფასურებული მარაგების ჩამოწერა/(რევერსალი)	12,21	410	(107)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/ (ზარალი), ნეტო	24,25,26	1,812	1,578
სხვა არაფულადი ოპერაციები		233	(319)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		93,148	86,545
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		7,426	(1,648)
მარაგების ზრდა		(4,394)	(10,513)
სხვა გრძელვადიანი აქტივების ზრდა		-	(113)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(5,653)	15,141
სახელშეკრულებო ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(1,003)	1,036
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		(3,624)	3,903
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		603	26
გადახდილი პროცენტი		(4,433)	(7,186)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		85,694	83,288
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(58,437)	(36,995)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		4,803	1,643
საინვესტიციო ქონების შეძენა	9	(3,036)	(8,328)
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში		(400)	(132)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,210)	(53)
ვადიანი დეპოზიტების განთავსება	14	(19,690)	-
ვადიანი დეპოზიტებიდან თანხის მიღება	14	10,000	-
დაკავშირებულ მხარეებზე სესხის გაცემა		(190)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(68,160)	(43,865)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	18	4,000	21,451
შემოსულობები მომწოდებლისგან მიღებულ დაფინანსებაზე	18	4,992	-
ნასესხების სახსრების გადახდა	18	(34,953)	(41,398)
მომწოდებლისთვის მიღებული დაფინანსების გადახდები	18	(4,992)	-
იჯარის ვალდებულებების ძირი თანხის გადახდა	18	(2,211)	(1,346)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(33,164)	(21,293)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		(39)	(13)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	15	34,176	16,059
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	15	18,507	34,176

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემული 9-65 გვერდებზე, წარმოადგენს კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგებები“) მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასათვის“ (შემდეგში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (შემდეგში „ჯგუფი“).

კომპანია 1996 წლის 23 აპრილს დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) დიდუბის სასამართლოში, საიდენტიფიკაციო ნომრით: 201948063. 2016 წლის 2 დეკემბერს განხორციელდა კომპანიის რესტრუქტურირება და გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად (სს). კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და საქმიანობას ახორციელებს საქართველოში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ფლობდა 16 ინდივიდუალური აქციონერი. კომპანიის ძირითადი აქციონერი (87.47%) და საკონტროლო პაკეტის მფლობელი არის ბატონი თემურ ჭყონია. დანარჩენ აქციებს ფლობენ კომპანიის თანამშრომლები (8.04%) და სხვა პირები (4.49%).

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობა მოიცავს კოკა-კოლას ბრენდის პროდუქციის წარმოებასა და ბოთლებში ჩამოსხმას საქართველოში სადისტრიბუციოდ და გასაყიდად. კომპანია ასევე ფლობს სასტუმრო „ჯორჯიან პალას ჰოტელს“ ქობულეთში, შავი ზღვის სანაპიროზე. 2018 წლის 1 მაისს, ჯგუფის სასტუმროს ბიზნესი მის აქტივებთან ერთად იჯარით გადაეცა ერთობილი კონტროლის ქვეშ მყოფ კომპანიას (შენიშვნა 9). პერიოდის შემდგომ „ჯორჯიან პალას ჰოტელთან“ დაკავშირებული ოპერაციებისთვის იხილეთ შენიშვნა 7.

The Coca-Cola Company-სთან (“TCCC”), Coca-Cola Export Corporation-სა და Sweppers Holding Limited-თან ჩამოსხმისა და სხვა შეთანხმებების შესაბამისად კომპანია TCCC-ის სავაჭრო ნიშნიან პროდუქციას აწარმოებს, ფუთავს და მის დისტრიბუციას ახორციელებს საქართველოში, ხოლო TCCC ნაწილობრივ არის პასუხისმგებელი TCCC-ის სავაჭრო ნიშნიანი ისეთი პროდუქციის მარკეტინგზე, როგორიცაა: Coca-Cola, Coca-Cola Zero, Fanta, Fanta Tropic, Schweppes, Sprite, Mtis, Burn და Fuse Tea. TCCC ასევე პასუხისმგებელია შესაბამისი კონცენტრატებითა და სასმელებით კომპანიის მომარაგებაზე. ამასთან, კომპანიას აქვს გაყიდვის უფლება თუნუქის და მინის ქილებში ჩამოსხმული სასმელის აზერბაიჯანსა და სომხეთში. TCCC-თან პირველ შეთანხმებას ხელი მოეწერა 1993 წელს და მას შემდეგ შეთანხმების მოქმედების ვადა პერიოდულად გრძელდება (ნახევარ წელიწადში ან წელიწადში ერთხელ, დაწყებული 2008 წლიდან). 2023 წლის 31 დეკემბერს კომპანიამ მიიღო შეთანხმების მომდევნო ერთწლიანი ვადით გაგრძელება 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

2024 წლის ივნისში, კომპანიამ დასრულდა მთის ქარხნის მშენებლობა და ყველა დანადგარის გადატანა მოხდა ახალ შენობაში. კომპანიამ თავის პორტფელში დაამატა 3 ლიტრი და 5 ლიტრიანი ფორმატის მთის პროდუქცია, რომლის პირველი წარმოება ივნისში შედგა. აღნიშნულ მთის ქარხანაში დეკემბრის დასაწყისში კომპანიამ დაასრულა ახალი საწარმოო ხაზი, რომელიც აწარმოებს არსებული მთის პროდუქციას 0.5 ლიტრიანი და 1.5 ლიტრიანი შეფუთვებით.

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

კომპანია საქართველოში რეგისტრირებული შემდეგი შვილობილი საწარმოების მშობელი კომპანიაა:

შვილობილი საწარმოს დასახლება	ძირითადი საქმიანობა	საკუთრება / ხმის უფლება	
		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შპს „მერკური 99“	უმოქმედო	100%	100%
შპს „კალა ინვესტი“	საინვესტიციო ქონების მესაკუთრე	100%	100%
შპს „ქობულეთი XXI“	საინვესტიციო ქონების მესაკუთრე	100%	100%
შპს „ქინგს ინ“	საინვესტიციო ქონების მესაკუთრე	89.08%	89.08%
შპს „სოლომონი 1805“	უმოქმედო	100%	100%
შპს „ცენტურიონი“	უმოქმედო	100%	100%
შპს „დისტრიბუცია 2024“	უმოქმედო	100%	100%
შპს „ჯორჯია პალას ჰოტელ და სპა“	სასტუმრო	100%	NA
შპს „კოკა-კოლა მესხეთი“	უმოქმედო	60%	60%

2023 წლის 30 ოქტომბერს, კომპანიამ შეისყიდა სადისტრიბუციო კომპანიის შპს კოკა-კოლა დისტრიბუციის (შემდგომში შპს დისტრიბუცია 2024) 100% წილი, რომლისგანაც გადმოიბარა და გააგრძელა დისტრიბუცია სრულად. შპს დისტრიბუცია 2024-ს არ ჰქონდა ოპერაციები 2024 წლის განმავლობაში. პერიოდის შემდგომ ტრანზაქციებთან დაკავშირებით იხილეთ შენიშვნა 32.

2024 წლის 24 დეკემბერს კომპანიამ დააფუძვნა შპს ჯორჯია პალას ჰოტელ და სპა, რომელმაც 2025 წელს გადაიბარა სასტუმროს საქმიანობა. შპს ჯორჯია პალას ჰოტელ და სპას არ ჰქონია ტრანზაქციები წლის ბოლო მდგომარეობით. პერიოდის შემდგომ ტრანზაქციებთან დაკავშირებით იხილეთ შენიშვნა 32.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანია რეგისტრირებულია და საქმიანობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, მცხეთა, სოფელი ნატახტარი, 3308.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათას ლარში ("GEL"), თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფი ძირითადად საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც საქართველოა, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და მოწყვლადია გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდნის მიმართ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც, როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის, რაც მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესზე საქართველოში, განვითარების ეტაპზეა და ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას არსებული საგადასახადო და მარეგულირებელი ცვლილებებიდან გამომდინარე. საქართველოს ეკონომიკის სამომავლო მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველომ განიცადა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დიდწილად უკავშირდებოდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გეგმას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გაუხსნა, უფრო მეტის მოლოდინი შეიძლება, რადგან საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა აგრძელებს განვითარებას.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

რუსეთ-უკრაინის ომი. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. საერთაშორისოდ მიჩნეული ომად, შეჭრა არის ყველაზე დიდი სამხედრო თავდასხმა ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ომმა ევროპაში ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი გამოიწვია, მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა. უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ გამოაცხადეს მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე და მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე ღირებულების მნიშვნელოვანი დაკარგვა რუსეთსა და სხვა ბაზრებზე ჩამოთვლილი რუსული კომპანიების. უამრავმა კომპანიამ გაიყვანა თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელორუსიიდან. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და მატერიალური ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის. მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის გრძელვადიანი გავლენის წინასწარი შეფასება რთულია და მენეჯმენტის არსებული მოლოდინები და დაშვებები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან. საომარი მოქმედებები არ ეხება ჯგუფის და კომპანიის ოპერაციებს.

კლიმატის ცვლილების განხილვა. ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ცნობიერება კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე და ჯგუფის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. მენეჯმენტი აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, როცა ეს გაიცემა იმ ბაზრებზე, რომლებშიც ჯგუფი მუშაობს.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით, როგორც მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით და საინვესტიციო ქონების გადაფასებით, ფინანსური ინსტრუმენტები დაყოფილია კატეგორიებად „რეალური ღირებულებით, მოგება ზარალის მეშვეობით“ („FVTPL“) და „რეალური ღირებულებით, სხვა სრული შემოსავალში ასახვით“ („FVOCI“). წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხილეთ მე-5 შენიშვნა).

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების აკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (გადაცემის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

საწარმოთა გაერთიანება. ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის მიუხედავად.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტებისა და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასებისა და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. კაპიტალის ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული ტრანზაქციების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანუღირდება; არარეალიზებული ზარალიც ანუღირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. კომპანია და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება-ინვესტიცია შვილობილ საწარმოში. კომპანია აღრიცხავს შვილობილ საწარმოში ინვესტიციას ამ ინვესტიციის საწყისი ღირებულებით სანამ არ მოხდება ინვესტიციის აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. შვილობილ საწარმოში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება გადაიხდება ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, იმისათვის, რათა განისაზღვროს არის თუ არა რაიმე მინიშნება გაუფასურებაზე. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, აქტივის ამოღებადი თანხები დგინდება. გამოყენებული ღირებულება განსაზღვრულია დივიდენდების მოსალოდნელი მიღების ამჟამინდელი ღირებულებით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალი აღიარდება მაშინ, როდესაც შვილობილ კომპანიაში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება აჭარბებს ამოღებად თანხას. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც თითოეული მათგანი საქმიანობს. კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო ვალუტა და ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

ტრანზაქციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული კომპანიის სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) სავალუტო კურსით. ნასესხებ და გაცემულ სახსრებთან დაკავშირებული სავალუტო შემოსულობები და ზარალი, აისახება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „ფინანსურ შემოსავალში ან დანახარჯებში“. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „სხვა შემოსულობა/(ზარალი), - ნეტო“. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგება ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში როგორც საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი). სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ინვესტიციებზე წილობრივ ფასიან ქაღალდებში კი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი USD 1 = GEL 2.8068 და EUR 1 = GEL 2.9306 (2023: USD 1 = GEL 2.6894 და EUR 1 = GEL 2.9753).

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. დაუმთავრებელი მშენებლობის კატეგორია მოიცავს დაუმონტაჟებელ მოწყობილობებსა და მშენებლობებს, რომლებიც დასრულებისას კლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება.

თვითღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს.

იმ პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და ხარჯები, რომელიც დამზადდა ძირითადი საშუალების იმ მდგომარეობამდე მისაყვანად, რომ შეძლოს მენეჯმენტის სურვილისამებრ ფუნქციონირება (მაგალითად, ძირითადი საშუალების ფუნქციონირების შემოწმების მიზნით წარმოებული ნიმუშები) აღირიცხება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასების ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. მიწას, დაუმთავრებელ მშენებლობასა და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობები	40 - 80
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	7 - 30
მაცივრები და სხვა სავაჭრო აღჭურვილობა	3 - 16
ავტომობილები	7 - 10
საოფისე ტექნიკა	2 - 7
სხვა	2-25

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ჯგუფის მფლობელობაში არსებული ქონება, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ღირებულების გაზრდას, ან ორივე მიზანს ერთად, და ჯგუფის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, შემდეგ კი ხდება მისი ხელახლა შეფასება რეალური ღირებულებით, რათა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული საბაზრო პირობები. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რა ფასადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ქონების გაყიდვა ჩვეულებრივი გარიგებით, გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს მსგავსი ქონების ღირებულება აქტიურ ბაზარზე, რომელიც მდებარეობს იგივე ადგილას იგივე პირობებით.

ჯგუფის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ, რომელთაც აქვთ შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და მსგავს ადგილმდებარეობასა და მსგავსი კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წლის მოგება-ზარალში, შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან წარმოქმნილი შემოსულობები და ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში და ცალკე ხდება მისი წარდგენა. საინვესტიციო ქონების გასვლიდან მიღებული შემოსულობები ან ზარალი გამოითვლება, როგორც შემოსულობები, შემცირებული საბალანსო ღირებულებით. როდესაც ჯგუფი ქონებას ყიდის რეალური ღირებულებით, თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებით, მაშინ გაყიდვამდე მისი საბალანსო ღირებულება შესწორდება გარიგების ფასით და ეს

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შესწორება აისახება წლის მოგება-ზარალში, საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შესწორებიდან წარმოქმნილ წმინდა შემოსულობაში.

თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება გახდება საინვესტიციო ქონება, მისი გამოყენების ცვლილების გამო, საბალანსო ღირებულებასა და ტრანსფერის თარიღით რეალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღირიცხება მსგავსად ძირითადი საშუალებების გადაფასებისა. ქონების საბალანსო ღირებულების ზრდა აღიარდება წლის მოგება-ზარალში იმდენად, რამდენადაც იგი აწუხებს ადრინდელ გაუფასურების ზარალს, დარჩენილი ნაწილი კი დაკრედიტდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალზე. ქონების საბალანსო ღირებულების შემცირება თავდაპირველად დაერიცხება სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებულ გადაფასების ნამეტს, დარჩენილი ნაწილი კი დაერიცხება წლის მოგება-ზარალს. გადაფასების რეზერვი შეიძლება გადაკლასიფიცირდეს გაუნაწილებელ მოგებაზე მენეჯმენტის გონივრული გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაფასების რეზერვი აღმოიფხვრება, როდესაც ჯგუფი მოახდენს ქონების რეალიზაციას/ჩამოწერას.

შემდგომი დანახარჯები აქტივის საბალანსო ღირებულებაში კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია ამ დანახარჯებთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. ყველა დანარჩენი რემონტისა და საექსპლუატაციო დანახარჯები ხარჯებში აისახება მათი გაწევისას. როდესაც საინვესტიციო ქონების ნაწილი იცვლება, ჩანაცვლების ღირებულება შედის ქონების საბალანსო ღირებულებაში და სამართლიანი ღირებულება ხელახლა ფასდება.

აქტივის გამოყენების უფლება. ჯგუფი იჯარით იღებს სხვადასხვა საწყობებსა და ავტომობილებს. ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს ორივეს, იჯარისა და არა-საიჯარო კომპონენტებს. ჯგუფი ხელშეკრულებაში საზღაურს მიაკუთვნებს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს მათ შესაბამის განცალკევებულ ფასზე დაყრდნობით.

აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით.

აქტივის გამოყენების უფლება საერთო გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადისა და იჯარის ვადის შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები (საწყობები)	4-დან 10 წლამდე
ავტომობილები	4-დან 6 წლამდე

არამატერიალური აქტივები. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფის ლიცენზიებს და წყლის მოპოვების ლიცენზიას.

პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები წრფივი მეთოდით ამორტიზდება 3-10 წლის განმავლობაში, ხოლო წყლის მოპოვების ლიცენზია - 25 წლის განმავლობაში.

ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში. ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს წილის განსაზღვრებას ემიტენტის პოზიციიდან, ე.ი. ინსტრუმენტი, რომელიც არ მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებას ფულის გადახდის შესახებ და რომელიც ადასტურებს ნარჩენ წილს ემიტენტის წმინდა

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივებში, ითვლება ინვესტიციებად წილობრივ ფასიან ქაღალდებში ჯგუფის მიერ. ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას გადაწყვეტს გამოუხმობად განსაზღვროს წილობრივი ინვესტიციები, როგორც სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), როდესაც აღნიშნული ინვესტიციები ფლობილია სტრატეგიული მიზნებისთვის და არა მხოლოდ საინვესტიციო შემოსავლების მისაღებად. FVOCI გადაწყვეტილების გამოყენების შემდეგ, სამართლიანი ღირებულების მოგება და ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და შემდეგ არ რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში, მათ შორის გასხვისებისას. გაუფასურების ზარალი და მათი აღდგენა/რევერსირება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იზომება ცალკე სხვა ცვლილებებისგან სამართლიან ღირებულებაში. დივიდენდები აღიარებული იქნება მოგება-ზარალში, როდესაც განისაზღვრება ჯგუფის მიერ გადახდების მიღების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი წარმოადგენენ ინვესტიციის ანაზღაურებას და არა შემოსავალს ასეთ ინვესტიციაზე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

შეწყვეტილი ოპერაციები. შეწყვეტილი ოპერაცია არის ჯგუფის კომპონენტი, რომელიც ან გასულია, ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად ფლობილი და: (ა) წარმოადგენს ბიზნესის განცალკევებულ, ძირითად ხაზს ან ოპერაციების გეოგრაფიულ არეალს; (ბ) არის ბიზნესის განცალკევებული, ძირითადი ხაზის ან ოპერაციების გეოგრაფიული არეალის გასვლის ერთიანი, კოორდინირებული გეგმის შემადგენელი ნაწილი; ან (გ) არის შვილობილი საწარმო, რომელიც უშუალოდ გასაყიდად არის შეძენილი. შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები ან ფულადი ნაკადები, თუ ასეთი არსებობს, მიმდინარე ოპერაციებისგან განცალკევებით აისახება, შესაძარისი ინფორმაციის ხელახლა წარდგენით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. „ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL) თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეფასებული რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI), რაც გამოიწვევს მცირეულ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL)“, „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI)“ და ამორტიზებული ღირებულებით (AC)“. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს ჯგუფი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - ჯგუფის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი“), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი“) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

ჯგუფის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება ჯგუფის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. ჯგუფის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსული გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება. ჯგუფის მიერ თავისი ფინანსური აქტივებისთვის ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისას გამოყენებული კრიტიკული განსჯის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ ჯგუფი შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (SPPI).

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება. ჯგუფის მიერ თავისი ფინანსურ აქტივებზე SPPI-ის ტესტის ჩატარებისას გამოყენებული კრიტიკული განსჯის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL). ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები და სახელშეკრულებო აქტივები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გათვალისწინებით.

ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისთვის. გაცემული სესხებისთვის ჯგუფი გაუფასურების სამეტაპიან მოდელს იყენებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილების საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება თანხით, რომელიც უტოლდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც წარმოიქმნება მომდევნო 12 თვეში ან სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა, დეფოლტის შემთხვევაში („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ ჯგუფი გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაშინ აქტივი გადადის მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსის გადახდების გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს (სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). იმის აღწერა, როგორ განსაზღვრავს ჯგუფი, რომ რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოცემულია 28-ე შენიშვნაში. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, მაშინ ეს აქტივი მე-3 ეტაპზე გადადის და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. აქტივების გაუფასურებისა და დეფოლტის ჯგუფის განმარტებები ახსნილია 28-ე შენიშვნაში. შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის („POCI“ აქტივები) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით შეფასდება. 28-ე შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებებისა და შეფასების მეთოდების შესახებ, მათ შორის იმის ახსნა, ჯგუფი როგორ ითვალისწინებს პერსპექტიულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის მოდელებში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ჯგუფი ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. ზოგჯერ ჯგუფი ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. ჯგუფი აფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ., მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული უკუგება), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ვალუტაში გამოსახვა, ახალი გირაო ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვნად გაზრდა, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ (“AC”), გარდა (i) “რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა” (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიოს ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის.

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისთვის ზარალის ანარიცხი განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით (ამასთან დაკავშირებით, იხილეთ შემდგომი პოლიტიკა სექციაში „ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის“).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ზარალის ანარიცხის გამოკლებით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით (ამასთან დაკავშირებით, იხილეთ შემდგომი პოლიტიკა სექციაში „ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის“).

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაცემული სესხები. გაცემული სესხები აღირიცხება, როცა ჯგუფი ავანსად გასცემს თანხას მეორემხარეზე. ბიზნეს-მოდელის და ფულადი ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე, ჯგუფი ახდენს გაცემული სესხების კლასიფიკაციას შეფასების ერთ-ერთი შემდეგი კატეგორიით: (i) ამორტიზირებული ღირებულება: სესხები ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) FVTPL: სესხები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI ტესტს ან ამორტიზირებული ღირებულების ან FVOCI-ის სხვა კრიტერიუმებს, შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL).

გაუფასურების რეზერვები განისაზღვრება პროგნოზირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელების საფუძველზე. 28-ე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებების და შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ, მათ შორის განმარტებულია როგორ შეიტანს ჯგუფი პროგნოზირებულ ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

ვადიანი დეპოზიტები. ვადიანი დეპოზიტები ინახება ბანკებში და მათი თავდაპირველი დაფარვის ვადაც სამ თვეზე მეტია. ვადიანი დეპოზიტები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ვადიანი დეპოზიტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი კლასიფიცირდება, როგორც „ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო შემოსავალი“ და წარმოდგენილია „ფინანსური შემოსავლის“ განყოფილებაში მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. ფინანსური შემოსავალი წარმოდგენილია ფულადი ნაკადების ანგარიშგების საინვესტიციო საქმიანობის განყოფილებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან. როდესაც ჯგუფი მეიჯარეა და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება გადაეცემა მოიჯარეს, იჯარით გაცემული აქტივი აისახება, როგორც მოთხოვნა ფინანსური იჯარიდან წმინდა ინვესტიციის ექვივალენტი თანხით. დაწყების თარიღისთვის, იჯარაში წმინდა ინვესტიციის შეფასება მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებული), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით.

ფინანსური იჯარის მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება დაწყებიდან (როდესაც იწყება იჯარის ვადა), იჯარაში ნაგულისხმევი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რათა შეფასდეს წმინდა ინვესტიცია იჯარაში.

მთლიან მოთხოვნასა და დისკონტირებულ ღირებულებას შორის განსხვავება წარმოადგენს გამოუმუშავებელ ფინანსურ შემოსავალს. ეს შემოსავალი აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში ნეტო საინვესტიციო მეთოდის გამოყენებით (დაბეგრამდე), რაც ასახავს მუდმივ პერიოდულ უკუგებას. იჯარის თაობაზე მოლაპარაკებასა და შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები აისახება ფინანსური იჯარის მოთხოვნის საწყის შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებული შემოსავლის ოდენობას, იჯარიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი მოცემული წლის მოგება-ზარალში აისახება „ფინანსური იჯარიდან შემოსავალში“.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება გამარტივებული მიდგომის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება იგივენაირად, როგორც სავაჭრო მოთხოვნები საერთო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით, მოთხოვნის ნეტო საბალანსო ღირებულების ფინანსურ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებში ასახულია ფულადი ნაკადები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საიჯარო აქტივების მიღებისა და გაყიდვის შედეგად.

საიჯარო ვალდებულებები. საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხდება გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით.

გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობები შეყვანილია მთელ რიგ საწყობების იჯარებში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის ჯგუფის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობების უმეტესობით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ ჯგუფს და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შემდგომ პერიოდის შესაძლებლობა) შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ განაკვეთი არ არის ადვილად დადგენილი, რაც ჯგუფის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება ჯგუფის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც ჯგუფს უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფითა და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, ჯგუფი სადაც შესაძლებელია, იყენებს ჯგუფის მიერ, ბოლო ხანებში, მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს.

საიჯარო გადახდები განაწილებულია ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ ხდებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომელთა ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

საოპერაციო იჯარა. როდესაც აქტივები გაცემულია საოპერაციო იჯარის ფარგლებში, მაშინ საიჯარო გადახდების მოთხოვნა აღიარდება წრფივი მეთოდით საიჯარო შემოსავლის სახით, იჯარის მოქმედების ვადის განმავლობაში. იჯარის მოდიფიკაცია მეიჯარის მიერ აღირიცხება როგორც ახალი იჯარა ცვლილების ძალაში შესვლის თარიღიდან, ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადი, რომელიც ეხება თავდაპირველ იჯარას, განიხილება როგორც ახალი იჯარის საიჯარო გადახდების ნაწილი.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც

რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული

საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ 5-10 წლით გადავადდება საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ. მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის გაკეთებისას, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით, დღგ-ის ჩათვლით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების თვითღირებულება მოიცავს ნედლეულს და მასალებს, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებსა და დაკავშირებულ საწარმოო ზედნადებ ხარჯებს (ჩვეულებრივი საწარმოო წარმადობის საფუძველზე), მაგრამ არ მოიცავს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება როგორც ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობიდან დადგენილ გასაყიდი ფასით, შემცირებული დასრულებისათვის საჭირო დანახარჯებითა და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

განთავსებული კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები საკუთარ კაპიტალში აისახება შემოსავლებიდან გამოქვითვის სახით, გადასახადების გარეშე. მიღებული კომპენსაციის რეალური ღირებულების ნამეტი გამოშვებული აქციის ნომინალურ ღირებულებაზე საკუთარ კაპიტალში აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საზღაური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღე-ს ექსპორტის საბაჟო გადასახადის, ზოგიერთი აქციზის და, სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან ჯგუფს ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმში დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, თუ გაყიდვები 14 დღიანი საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია.

მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასის, სარგოს, შენატანები სახელმწიფო საპენსიო და სოციალური დაცვის ფონდებში, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსების დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები გარდა კანონით განსაზღვრულ დადგენილშენატანიან სქემებში გადახდებისა.

ცვლილებები კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებებს გამოსაცემად ამტკიცებს, დასტური.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებსა და მომდევნო ფინანსური წლისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ფაქტობრივი სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა 1,424 ათასი ლარის ზრდა/შემცირება (2023 წლის 31 დეკემბერი: 1,165 ათასი ლარი).

იჯარა და ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას, რათა განსაზღვროს ფინანსური აქტივებისა და საიჯარო აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და უკუგება არსებითად არის თუ არა გადაცემული პარტნიორებზე, მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიჯარეა, კერძოდ რომელი რისკები და უკუგება ყველაზე მნიშვნელოვანი და რა არის არსებითად ყველა რისკი და უკუგება.

მენეჯმენტის განსჯა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე (1) საიჯარო პერიოდი მოიცავს თუ არა აქტივის ეკონომიკური სასიცოცხლო ვადის უმეტეს ნაწილს, მიუხედავად იმისა რომ არ ხდება საკუთრებაში გადაცემა და (2) მეიჯარე გადასცემს აქტივზე საკუთრების უფლებას მოიჯარეს იჯარის ვადის დასრულებისას.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები ხორციელდება საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების ვადები და პირობები აღწერილია 7-ე შენიშვნაში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და მოიცავს ანალიზის მეთოდოლოგიას, მოდელისა და მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 28-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის განმარტება, მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკი (SICR), დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD") და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(“LGD”), ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელებს. ჯგუფი რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

ჯგუფმა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის გამოიყენა დასაბუთებადი პერსპექტიული ინფორმაცია, ძირითადად საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელი. შემდეგი ყველა მნიშვნელოვანი პერსპექტიული დაშვებები, რომლებიც კორელაციაშია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან 2024 წლის 31 დეკემბრისთვის იყო:

ცვლადი	სცენარი	მინიჭებული წონა	დაშვებები წლებისთვის:		
			2025	2026	2027
უცხოური ვალუტის					
გაცვლის კურსები	საბაზისო	50%	უცვლელი	უცვლელი	უცვლელი
	ზრდის პოტენციალი	25%	2%	3%	უცვლელი
	ვარდნის პოტენციალი	25%	(15%)	უცვლელი	5%

შეფასებები და დაშვებები, 2023 წლის 31 დეკემბრისთვის იყო შემდეგი:

ცვლადი		სცენარი	მინიჭებული წონა	დაშვებები წლებისთვის:		
				2024	2024	2024
უცხოური ვალუტის						
გაცვლის კურსები	საბაზისო	50%	უცვლელი	50%	უცვლელი	
	ზრდის პოტენციალი	25%	5%	25%	5%	
	ვარდნის პოტენციალი	25%	(10%)	25%	(10%)	

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდა (“SICR”). იმისათვის, რომ განისაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა რისკის მნიშვნელოვან ზრდას, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში დეფოლტის დადგომის რისკს ადარებს თავდაპირველი აღიარებისას დეფოლტის რისკს. შეფასება მოიცავს საკრედიტო რისკის ფარდობით ზრდას და არა საკრედიტო რისკის კონკრეტული დონის მიღწევას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ჯგუფი ითვალისწინებს ყველა გონივრულ და დასაბუთებად პერსპექტიულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რაც მოიცავს ფაქტორების სპექტრს, მათ შორის კონკრეტული მომხმარებლის პორტფელის ქცევის ასპექტებს. ჯგუფი საკრედიტო რისკის გაზრდის ქცევის ნიშნებს გამოავლენს გადახდისუუნარობის დადგომამდე და შესაფერის პერსპექტიულ ინფორმაციას ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შეფასებაში, ინდივიდუალური ინსტრუმენტის ან პორტფელის დონეზე. იხილეთ 28-ე შენიშვნა.

ბიზნეს-მოდელის შეფასება. ბიზნეს-მოდელით განისაზღვრება ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ბიზნეს-მოდელის შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას ფინანსური ინსტრუმენტების აგრეგირებისა და პორტფელის დონის განსაზღვრისთვის. გაყიდვების ოპერაციების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს წარსულში მათ სიხშირეს, ვადებსა და ღირებულებას, გაყიდვის მიზეზებსა და სამომავლო გაყიდვების მოლოდინს. კრედიტის გაუარესების გამო შესაძლო პოტენციური ზარალის მინიმუმამდე შემცირების მიზნით გაყიდვის ოპერაციები მიიჩნევა „ამოსაღებად კუთვნილი“ ბიზნეს-მოდელის თანმიმდევრულად. დაფარვის ვადის დადგომამდე სხვა გაყიდვები, რომელიც დაკავშირებული არ არის საკრედიტო რისკის მართვის ღონისძიებებთან, ასევე თანმიმდევრულია „ამოსაღებად კუთვნილი“ ბიზნეს-მოდელისა, თუ ისინი ხშირად არ განხორციელდება და მათი ღირებულება უმნიშვნელო იქნება, როგორც ინდივიდუალურად, ისე აგრეგირებული ფორმით. ჯგუფი გაყიდვების ოპერაციების მნიშვნელობას აფასებს გაყიდვების ღირებულების შედარებით იმ პორტფელის ღირებულებასთან, რომელიც ბიზნეს-მოდელის შეფასების სუბიექტია პორტფელის მომსახურების საშუალო მომსახურების ვადაში. ამასთან, ფინანსური აქტივების გაყიდვები მოსალოდნელია მხოლოდ სტრესულ სცენარში, ან განცალკევებულ მოვლენაზე, რომელიც ჯგუფის

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

კონტროლს არ ექვემდებარება, რეაგირებისას, რაც არ განმეორდება და ჯგუფის მიერ მისი წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იქნებოდა, მიიჩნევა, რომ შემთხვევითია ბიზნეს-მოდელის მიზნისთვის და გავლენას არ ახდენს შესაბამისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაზე.

ბიზნეს-მოდელი, „ამოსაღებად და გასაყიდად კუთვნილი“, გულისხმობს, რომ აქტივები განკუთვნილია ფულადი ნაკადის ამოღებამდე, მაგრამ გაყიდვაც ამ ბიზნეს-მოდელის მიზნის მიღწევის ნაწილია, როგორცაა მაგალითად, ლიკვიდობის საჭიროების მართვა, გარკვეული შემოსავლიანობის მიღწევა, ან ფინანსური აქტივების ხანგრძლივობის იმ ფინანსური ვალდებულებების ხანგრძლივობასთან შესაბამისობა, რომელთა მეშვეობითაც დაფინანსდა ეს აქტივები.

ფინანსური აქტივების მოდიფიცირება. ფინანსური აქტივების ხელშეკრულებების მეშვეობით მოდიფიცირებისას (ანუ ხელახალი მოლაპარაკების შედეგად) ჯგუფი შეაფასებს მოდიფიცირება არსებითია თუ არა და გამოიწვევს თავდაპირველი აქტივის აღიარების შეწყვეტას და ახალი აქტივის აღიარებას რეალური ღირებულებით. ეს შეფასება ძირითადად ხარისხობრივ ფაქტორებს ემყარება, რომლებიც აღწერილია შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკაში და მოითხოვს განსჯის ინტენსიურ გამოყენებას. კერძოდ, ჯგუფი განსჯას იყენებს იმის განსაზღვრისას, გაუფასურებული სესხების, რომლებზეც ხელახალი მოლაპარაკება შედგა, აღიარება უნდა შეწყდეს თუ არა და ახლად აღიარებული სესხები მიჩნეულ უნდა იქნეს თუ არა გაუარესებული კრედიტის მქონე სესხებად თავდაპირველი აღიარებისას. აღიარების შეწყვეტის შეფასება დამოკიდებულია რისკები და სარგებელი, ანუ მოსალოდნელი (და არა სახელშეკრულებო) ფულადი ნაკადები, შეიცვლება თუ არა მსგავსი მოდიფიკაციის შედეგად. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ რისკები და სარგებელი არ შეცვლილა მსგავსი სესხების მოდიფიკაციის შედეგად და მაშასადამე, არსებითად ყველა მსგავსი მოდიფიკაციის შემთხვევაში სესხების აღიარება არ შეწყვეტილა და გაუარესებული კრედიტის ეტაპიდან მათი რეკლასიფიკაცია არ მომხდარა.

საინვესტიციო ქონების შეფასება. საინვესტიციო ქონება ასახულია რეალური ღირებულებით, თითოეული საანგარიშგებო წლის ბოლოს, საერთაშორისო შემფასებელი კომპანიის შპს პროპარტისა და Moore ABC-ის მიერ მომზადებული ანგარიშების საფუძველზე.

ამჟამინდელი ეკონომიკური გარემოსა და საბაზრო პირობების გამო, ქონების გარიგებების განხორციელების სიხშირე დაბალია ჯგუფის ძირითად ბაზრებზე. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობის შეფასებით ბაზარზე საკმარისი აქტივობაა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მსგავსი ქონებით ოპერაციების შესაძარისი ფასები, ჯგუფის საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის, გარდა ჯგუფის გარკვეული შენობისა - სასტუმრო ჯორჯია პალასის ქონებისა, რომლებიც მდებარეობს ქობულეთში და რომელთა საბალანსო ღირებულებაა 26,890 ათასი ლარია (2023 წ. 30,595 ათასი ლარი), რადგან ეს ინფორმაცია არ არის ადვილად ხელმისაწვდომი.

ამ ქონების შემთხვევაში, შეფასება დაეფუძნა, ძირითადად, დისკონტირებულ ფულად ნაკადებს, სამომავლო ფულადი ნაკადების საიმედო შეფასების საფუძველზე, რასაც ამყარებს ნებისმიერ არსებულ იჯარის პირობებს და სხვა კონტრაქტებს და გარე მტკიცებულებას, როგორცაა მაგალითად საბაზრო იჯარა მსგავს ქონებაზე იმავე არეალში, იმავე მდგომარეობაში, ისეთი დისკონტირების განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ასახავენ ფულადი ნაკადების ოდენობასა და ვადებთან დაკავშირებული გაურკვევლობის მიმდინარე საბაზრო შეფასებებს.

ჯგუფის საინვესტიციო ქონების შეფასების ანგარიშების მომზადებისას გარე შემფასებლებმა გამორიცხეს სასწრაფო გაყიდვები შესაძარისი ფასების გათვალისწინებისას. აუდიტორის ექსპერტმა განიხილა შემფასებლების დაშვებები, რაც საფუძველად დაედო შეფასებისას გამოყენებულ დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელის შეფასებას და დაადასტურა, რომ ფაქტორები, როგორცაა გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი, სათანადოდ არის განსაზღვრული.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საბაზრო პირობების გათვალისწინებით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მისი საინვესტიციო ქონების შეფასება ექვემდებარება განსჯის მზარდი ინტენსივობით გამოყენებას და გაზრდილია ალბათობა, რომ ფაქტობრივი შემოსავლები შეიძლება განსხვავდებოდეს საბალანსო ღირებულებისგან.

ძირითადი დაშვებები, რომლებიც საფუძვლად უდევს რეალური ღირებულების შეფასებას, შემდეგია: გადმოცემული უძრავი ქონების უფლებები, საგნების დაფინანსება, გაყიდვის პირობები, შემენისთანავე გაკეთებული ხარჯები, ბაზრის მდგომარეობა (დრო), ადგილმდებარეობა, ფიზიკური მახასიათებლები, ეკონომიკური მახასიათებლები; და შესაბამისი დისკონტირების განაკვეთები. აღნიშნული შეფასებების საბაზრო შემოსავლის მონაცემებთან და ჯგუფის ფაქტობრივ ოპერაციებთან და ბაზარზე განხორციელებულ ანგარიშგებულ ოპერაციებთან შედარება რეგულარულად ხორციელდება.

გაკეთებული ძირითადი დაშვებები და მთლიან შეფასებებზე აღნიშნული შეფასებების გონივრულად შესაძლო ცვლილებების გავლენა, სხვა ცვლადების უცვლელად დატოვებით, შემდეგია:

- დაშვებულია, რომ უიმედო ვალების ზარალი იქნება ნული საქმიანობის ყველა წელს (2023 წ. ნული საქმიანობის ყველა წელს).
- დაშვებულია, რომ რემონტის ხარჯი არის ნული (2023 წ. ნული).
- დაშვებულია, რომ დისკონტირების განაკვეთი არის 16.78% (2023 წ. 16.61%). დისკონტირების განაკვეთი რომ გაიზარდოს/შემცირდეს 1 პროცენტული პუნქტით (2023 წ. 1 პროცენტული პუნქტი), მაშინ საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება იქნება 1,820 ათასი ლარით ნაკლები და 2,105 ათასი ლარით მეტი (2023 წ. 2,206 ათასი ლარით ნაკლები და 2,561 ათასი ლარით მეტი).

ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში შეფასება. ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში ასახულია რეალური ღირებულებით, თითოეული საანგარიშგებო წლის ბოლოს, საერთაშორისო შემფასებელი კომპანიის შპს პროპარტის მიერ მომზადებული ანგარიშგების საფუძველზე.

ამჟამინდელი ეკონომიკური გარემოსა და საბაზრო პირობების გამო, საინვესტიციო გარიგებების განხორციელების სიხშირე დაბალია ჯგუფის ძირითად ბაზრებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით ბაზარზე საკმარისი აქტივობა არ არის იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მსგავსი ინვესტიციის ოპერაციების შესადარისი ფასები, ჯგუფის ინვესტიციის რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის, შესაბამისად მენეჯმენტი ირჩევს მომავალი ფულადი შემოსავლების დისკონტირების მეთოდს ინვესტიციის შეფასებისთვის. ძირითადი დაშვებები, რომლებიც საფუძვლად უდევს რეალური ღირებულების შეფასებას, შემდეგია: მოსალოდნელი ფულადი ნაკადები, მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები, ასევე კაპიტალური დანახარჯები და სესხები, და შესაბამისი დისკონტირების განაკვეთები.

გაკეთებული ძირითადი დაშვებები და მთლიან შეფასებებზე აღნიშნული შეფასებების გონივრულად შესაძლო ცვლილებების გავლენა, სხვა ცვლადების უცვლელად დატოვებით, შემდეგია:

- დაშვებულია, რომ დისკონტირების განაკვეთი არის 17.17% (2023 წ. 15.8%). დისკონტირების განაკვეთი რომ გაიზარდოს/შემცირდეს 1 პროცენტული პუნქტით (2023 წ. 1 პროცენტული პუნქტი), მაშინ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება იქნება 133 ათასი ლარით ნაკლები და 139 ათასი ლარით მეტი (2023 წ. 323 ათასი ლარით ნაკლები და 374 ათასი ლარით მეტი).

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან:

- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).
- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფისა და კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- **შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**
- **ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები - IFRS 9-სა და IFRS 7-ში ცვლილებები (გამოქვეყნდა 2024 წლის 30 მაისს და ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2024 წლის 30 მაისს, IASB-მ გამოსცა IFRS 9-სა და IFRS 7-ში ცვლილებები, რათა:**

(ა) დაზუსტდეს ზოგიერთი ფინანსური აქტივისა და ვალდებულების აღიარებისა და აღიარების შეწყვეტის თარიღი, ელექტრონული ფულადი გადარიცხვის სისტემის მეშვეობით დაფარული ზოგიერთი ფინანსური ვალდებულების ახალი გამონაკლისით;

(ბ) დაზუსტდეს და დაემატოს დამატებითი ინსტრუქციები იმის შესაფასებლად, აკმაყოფილებს თუ არა ფინანსური აქტივი მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის (SPPI) კრიტერიუმს;

(გ) დაემატოს ახალი გამჟღავნებები გარკვეული ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც აქვთ სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადები (მაგალითად, ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომლის მახასიათებლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) მიზნების მიღწევასთან); და

(დ) განახლდეს გამჟღავნებები სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის (FVOCI) მეშვეობით სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრული სააქციო ინსტრუმენტებისთვის.

ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებებს მის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- **IFRS 18 ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა და გამჟღავნება (გამოქვეყნდა 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** 2024 წლის აპრილში, IASB-მ გამოსცა IFRS 18, ფინანსური ანგარიშგებაში წარდგენისა და გამჟღავნების ახალი სტანდარტი, რომელიც ფოკუსირებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგების განახლებებზე. IFRS 18-ში წარმოდგენილი ძირითადი ახალი კონცეფციები ეხება:
 - მოგების ან ზარალის ანგარიშგების სტრუქტურას;
 - ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების ან ზარალის გარკვეული მაჩვენებლების სავალდებულო გამჟღავნებას, რომლებიც ანგარიშგებულია ერთეულის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (ანუ მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული მაჩვენებლები); და
 - აგრეგაციისა და დეზაგრეგაციის გაუმჯობესებულ პრინციპებს, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებსა და შენიშვნებზე ზოგადად. IFRS 18 ჩაანაცვლებს IAS 1-ს; IAS 1-ში არსებული სხვა მრავალი პრინციპი შენარჩუნებულია, შეზღუდული ცვლილებებით.

IFRS 18 გავლენას არ მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში პუნქტების აღიარებაზე ან შეფასებაზე, მაგრამ შესაძლოა შეცვალოს ის, რასაც ერთეული ასახავს, როგორც მის „ოპერაციულ მოგებას ან ზარალს“. IFRS 18 გამოყენებული იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის და ასევე ვრცელდება შედარებით ინფორმაციაზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- *IFRS 19* შეიღობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნებები (გამოქვეყნდა 2024 წლის 9 მაისს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- *IFRS 14*, მარეგულირებელი გადავადებული ანგარიშები (გამოქვეყნდა 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ინვესტორსა და მის მკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).
- *IFRS* ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოქვეყნდა 2024 წლის ივლისში და ძალაში შევიდა 2026 წლის 1 იანვრიდან).

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით, ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	მთავარი აქციონერი	2	2	2	2
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	353	95	353	95
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	ძირითადი ხელმძღვანელი პირები	19	19	19	19
სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი თანხა	სხვა დაკავშირებული მხარეები	33	43	33	43
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	მთავარი აქციონერი	1,360	1,360	1,360	1,360
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	3,362	3,362	3,362	3,362
სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	შვილობილი კომპანიები/ სხვა ინვესტიცია	-	-	12,630	12,630
გაცემული სესხები	მთავარი აქციონერი	40,694	39,000	40,694	39,000
გაცემული სესხები	შვილობილი კომპანიები/ სხვა ინვესტიცია	631	631	631	631
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	მთავარი აქციონერი	-	-	(12,605)	(12,605)
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(3,160)	(1,360)	(1,360)	(1,360)
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	სხვა დაკავშირებული მხარეები	(3,113)	(3,113)	(3,113)	(3,113)
ინვესტიციები	შვილობილი კომპანიები/ სხვა ინვესტიცია	NA	NA	4,013	4,013
შვილობილ კომპანიებში ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	შვილობილი კომპანიები/ სხვა ინვესტიცია	445	1,715	445	1,715
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მთავარი აქციონერი	(120)	(120)	(28)	(120)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(196)	(196)	(13)	(196)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	შვილობილი კომპანიები/ სხვა ინვესტიცია	(13)	(13)	(13)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარეები	(5)	(5)	(5)	(5)

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები ჯგუფისთვის დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის იყო შემდეგი:

ათასი ლარი		კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საქონლის გაყიდვა	მთავარი აქციონერი	11	9	11	9
საქონლის გაყიდვა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	85	16	85	16
ნედლეულისა, სხვა მასალების და მომსახურების შესყიდვა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(6,636)	(5,839)	(6,636)	(5,839)
ტრანსპორტირების ხარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(1,740)	(1,906)	(1,740)	(1,906)
სხვა მომსახურებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	-	(12,605)	-	(12,605)
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	შვილობილი კომპანიები/ სხვა ინვესტიცია	-	(1,360)	-	(1,360)
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	მთავარი აქციონერი	-	(3,113)	-	(3,113)
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	3,345	2,693	3,345	2,693
საპროცენტო შემოსავალი	მთავარი აქციონერი	(8,076)	(12,199)	(8,076)	(12,199)
ანაზღაურება	მთავარი აქციონერი	(1,269)	(1,818)	(1,269)	(1,818)
ანაზღაურება	ძირითადი				
	ხელმძღვანელი პირები	11	9	11	9
Gains less losses from securities at FVOCI	შვილობილი კომპანიები/ სხვა ინვესტიცია	85	16	85	16

(*) სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებული წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობები შემცირებული ზარალით.

ძირითადი მენეჯმენტის წევრებმა გამოიყენეს გამონაკლისები საპენსიო შენატანების გეგმიდან, შესაბამისად, მათი ანაზღაურება არ მოიცავს ნორმატიულ საპენსიო შენატანებს.

სხვა დაკავშირებული მხარეები მოიცავენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებს.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელი პირების, რომლებიც მმართველი საბჭოს წევრები არიან, ანაზღაურება მოიცავდა ხელფასებსა და ბონუსებს.

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	მაცივრები და სხვა საავაჭრო აღჭურვილობა	ავტომო- ბილები	საოფისე აღჭურ- ვილობა	CIP*	სხვა	სულ
თვითღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	3,970	24,731	72,407	40,610	1,904	9,869	10,390	1,917	165,798
დაგროვილი ცვეთა	-	(1,477)	(25,199)	(32,425)	(830)	(6,178)	-	(640)	(66,749)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	3,970	23,254	47,208	8,185	1,074	3,691	10,390	1,277	99,049
დამატებები	701	271	1,756	6,827	3,785	313	17,725	225	31,603
დამატებები ბიზნესის შერწყმიდან გამომდინარე	-	2	23	-	27	72	-	4	128
ტრანსფერები მარაგებიდან	-	1	162	17	-	63	477	4	724
ტრანსფერები	-	5,064	15,071	350	-	106	(20,611)	20	-
ტრანსფერები საინვესტიციო ქონებიდან	4,192	2,538	-	-	-	-	-	-	6,730
ტრანსფერი ფინანსური იჯარიდან	-	-	-	-	1,625	-	-	-	1,625
ტრანსფერი აქტივის გამოყენების უფლებიდან	-	-	-	-	13	-	-	-	13
რეკლასი (თვითღირებულება)**	-	-	1,518	-	-	(1,731)	-	213	-
რეკლასი (დაგროვილი ცვეთა)**	-	-	(5,356)	6,498	-	(929)	-	(213)	-
გასვლები/ჩამოწერები (თვითღირებულება)	-	-	(4,006)	(8,263)	(1,093)	(5,960)	-	-	(19,322)
გასვლები/ჩამოწერები (დაგროვილი ცვეთა)	-	-	1,019	7,992	1,070	5,953	-	-	16,034
ცვეთის ხარჯი	-	(590)	(3,745)	(6,081)	(777)	(238)	-	(219)	(11,650)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	8,863	30,540	53,650	15,525	5,724	1,340	7,981	1,311	124,934
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	8,863	32,607	86,931	39,541	6,261	2,732	7,981	2,383	187,299
დაგროვილი ცვეთა	-	(2,067)	(33,281)	(24,016)	(537)	(1,392)	-	(1,072)	(62,365)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	8,863	30,540	53,650	15,525	5,724	1,340	7,981	1,311	124,934
დამატებები	4,047	446	4,943	8,634	8,546	1,898	39,309	1,418	69,241
ტრანსფერები მარაგებიდან	-	9,955	33,317	149	-	357	(44,472)	694	-
ტრანსფერები CIP*-იდან	-	-	-	-	-	-	-	-	-
ტრანსფერი აქტივის გამოყენების უფლებიდან	-	(846)	(4,437)	(6,599)	(1,731)	(340)	-	(291)	(14,244)
გასვლები/ჩამოწერები (თვითღირებულება)	-	9,955	33,317	149	-	357	(44,472)	694	-
გასვლები/ჩამოწერები (დაგროვილი ცვეთა)	-	-	-	-	-	-	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	-	(7,966)	(7,521)	(2,442)	(535)	(197)	(261)	(18,922)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	12,910	40,156	86,183	18,050	11,444	3,267	2,838	3,165	178,013
თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	12,910	43,069	117,598	41,320	12,423	4,465	2,838	4,278	238,901
დაგროვილი ცვეთა	-	(2,913)	(31,415)	(23,270)	(979)	(1,198)	-	(1,113)	(60,888)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	12,910	40,156	86,183	18,050	11,444	3,267	2,838	3,165	178,013

(*) CIP - დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული აღჭურვილობა

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2024 წლის 31 დეკემბერი

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მიწა	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	მაცივრები და სხვა სავაჭრო აღჭურვილობა	ავტომობილე ბი	საოფისე აღჭურვ-ილობა	CIP*	სხვა	სულ
თვითღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	3,970	24,749	72,462	40,644	1,899	9,814	10,390	1,901	165,829
დაგროვილი ცვეთა	-	(1,500)	(25,223)	(32,462)	(827)	(6,180)	-	(641)	(66,833)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	3,970	23,249	47,239	8,182	1,072	3,634	10,390	1,260	98,996
დამატებები	701	271	1,756	6,827	3,785	313	17,725	220	31,598
დამატებები ბიზნესის შერწყმიდან გამომდინარე	-	2	23	-	27	72	-	4	128
ტრანსფერები მარაგებიდან	-	1	162	17	-	63	477	4	724
ტრანსფერები	-	5,064	15,071	350	-	106	(20,611)	20	-
ტრანსფერები საინვესტიციო ქონებიდან	4,192	2,538	-	-	-	-	-	-	6,730
ტრანსფერი ფინანსური იჯარიდან	-	-	-	-	1,625	-	-	-	1,625
ტრანსფერი აქტივის გამოყენების უფლებიდან	-	-	-	-	13	-	-	-	13
რეკლასი (თვითღირებულება)**	-	-	1,518	-	-	(1,731)	-	213	-
რეკლასი (დაგროვილი ცვეთა)**	-	-	(5,356)	6,498	-	(929)	-	(213)	-
გასვლები/ჩამოწერები (თვითღირებულება)	-	-	(4,006)	(8,263)	(1,093)	(5,960)	-	-	(19,322)
გასვლები/ჩამოწერები (დაგროვილი ცვეთა)	-	-	1,019	7,992	1,070	5,953	-	-	16,034
ცვეთის ხარჯი	-	(590)	(3,745)	(6,081)	(777)	(238)	-	(219)	(11,650)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	8,863	30,535	53,681	15,522	5,722	1,283	7,981	1,289	124,876
თვითღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	8,863	32,625	86,986	39,575	6,256	2,677	7,981	2,362	187,325
დაგროვილი ცვეთა	-	(2,090)	(33,305)	(24,053)	(534)	(1,394)	-	(1,073)	(62,449)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	8,863	30,535	53,681	15,522	5,722	1,283	7,981	1,289	124,876
დამატებები	4,047	446	4,943	8,634	8,546	1,898	39,309	1,417	69,240
ტრანსფერები მარაგებიდან	-	61	373	517	58	13	217	44	1,283
ტრანსფერები CIP*-იდან	-	9,955	33,317	149	-	357	(44,472)	694	-
ტრანსფერი აქტივის გამოყენების უფლებიდან	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლები/ჩამოწერები (თვითღირებულება)	-	-	(7,966)	(7,521)	(2,442)	(535)	(197)	(261)	(18,922)
გასვლები/ჩამოწერები (დაგროვილი ცვეთა)	-	-	6,303	7,345	1,289	534	-	250	15,721
ცვეთის ხარჯი	-	(846)	(4,437)	(6,599)	(1,731)	(340)	-	(291)	(14,244)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	12,910	40,151	86,214	18,047	11,442	3,210	2,838	3,142	177,954
თვითღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	12,910	43,087	117,653	41,354	12,418	4,410	2,838	4,256	238,926
დაგროვილი ცვეთა	-	(2,936)	(31,439)	(23,307)	(976)	(1,200)	-	(1,114)	(60,972)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	12,910	40,151	86,214	18,047	11,442	3,210	2,838	3,142	177,954

(*) CIP - დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა

(**) რეკლასი - 2023 წლის განმავლობაში მენეჯმენტმა გააანალიზა გარკვეული ტიპის ძირითადი საშუალებების კლასიფიკაცია და გაატარა შესაბამისი რეკლასიფიკაციის ტრანზაქციები.

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

დაუმთავრებელი მშენებლობა ძირითადად მოიცავს დაუმონტაჟებელ დანადგარებსა და მიმდინარე შენობებისა და საწყობების მშენებლობას. დასრულების შემდგომ აქტივები გადავა მანქანა-დანადგარებისა და შენობა-ნაგებობების ჯგუფში.

ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების გადაფასების მუხლი ეხება მიწასა და შენობებს, რომლებიც გადავიდა ძირითადი საშუალებებიდან საინვესტიციო ქონებაში, საწარმოო ობიექტების და ადმინისტრაციული ოფისის თბილისიდან სოფელ ნატახტარში გადასვლის შედეგად. ეს მოხდა 2021 წელს და კომპანიამ აღიარა გადაფასების ნამეტი 40,466 ათასი ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფისა და კომპანიის ძირითადი საშუალებები 178,013 ათასი და 177,954 ათასი ლარის ოდენობით (2023: 124,934 ათასი და 124,876 ათასი ლარი), სესხის გირაოს სახით გადაცემული იქნა მესამე მხარეებისათვის. იხილეთ შენიშვნა 27.

9 საინვესტიციო ქონება

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024	2023	2024	2023
საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით				
1 იანვარს	95,036	102,075	88,474	95,489
დამატებები	-	5,922	-	5,922
ხარჯები შემდგომ გაუმჯობესებაზე	3,036	2,406	3,036	2,406
ძირითად საშუალებებში გადასვლები	-	(6,730)	-	(6,730)
მოგება/(ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	10,538	(8,637)	8,401	(8,613)
საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით, 31 დეკემბერს	108,610	95,036	99,911	88,474

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულებას განსაზღვრავს დამოუკიდებელი, კვალიფიციური შემფასებელი, საბაზრო მიდგომის გამოყენებით, თითოეული ქონების საუკეთესო გამოყენების ანალიზის საფუძველზე, ყოველი წლის ბოლოს.

2024 წლის 31 დეკემბერს, ჯგუფისა და კომპანიის საინვესტიციო ქონება 108,610 ათასი და 99,911 ათასი ლარის ოდენობით (2023: 95,036 ათასი და 88,474 ათასი ლარი) სესხის გირაოს სახით გადაცემულ იქნა მესამე მხარეებისათვის. იხილეთ შენიშვნა 27.

კომპანიამ 2023 წლის მარტსა და აპრილის თვეში შეიძინა სასაწყობო და საოფისე ფართები ახალციხესა და ბათუმში, რომლის დიდი ნაწილის იჯარით გადაცემა მოხდა პარტნიორ სადისტრიბუციო კომპანიაზე იმავე პერიოდში. კომპანიის მიერ სადისტრიბუციო კომპანიის შესყიდვის შემდეგ, სასაწყობო და საოფისე ფართები გადაკლასიფიცირდა როგორც ძირითადი საშუალებები კომპანიის საოპერაციო მიზნებიდან გამომდინარე.

9 საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

როდესაც ჯგუფი არის მეიჯარე, საინვესტიციო ქონების საოპერაციო იჯარის სამომავლოდ მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელები იქნება შემდეგი:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024	2023	2024	2023
1 წელი	169	1,653	169	1,653
2 წელი	70	169	70	169
3 წელი	70	70	70	70
4 წელი	70	70	70	70
5 წელი	70	70	70	70
5 წელი და შემდგომი პერიოდი	142	262	142	262
სულ არადისკონტირებული საოპერაციო საიჯარო გადასახდელების მოთხოვნა 31 დეკემბერს	591	2,294	591	2,294

10 ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში

2024 და 2023 წლებში, ჯგუფმა განსაზღვრა სს არგო-ს 9%-იანი წილი როგორც წილობრივი ფასიანი ქაღალდები „FVOCI“-ით, რადგან აღნიშნული ინვესტიციები, უფრო მეტად სტრატეგიულია, ვიდრე სამომავლოდ, ამ ინვესტიციების გაყიდვიდან მოგების მიღება. ჯგუფი არ აპირებს მის გაყიდვას მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასიანი ქაღალდები „FVOCI“-ით მოიცავს ფასიან ქაღალდებს საბალანსო ღირებულებით 445 ათასი და 1,715 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც არ არის საჯარო ვაჭრობისთვის განკუთვნილი. ადგილობრივი ფინანსური ბაზრის ბუნების გათვალისწინებით, არ არის შესაძლებელი ამ ინვესტიციების მიმდინარე საბაზრო ღირებულების დადგენა. ამ ინვესტიციებისთვის რეალური ღირებულება ფასდება ინვესტიციის მიმღების დისკონტირებულ საოპერაციო ფულად ნაკადებთან მიმართებაში. 2024 და 2023 წლების განმავლობაში, კომპანიას არ განუხორციელებია დამატებითი ინვესტიცია სს „არგოში“.

11 მარაგები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები	25,514	25,697	25,511	25,694
მზა პროდუქცია - თვითღირებულებით	8,400	6,097	8,400	6,097
მარკეტინგული მარაგები	1,684	983	1,684	983
სათადარიგო მარაგები	1,381	2,149	1,381	2,149
საქონელი გზაში	526	18	526	18
სხვა	1,200	1,058	1,202	1,053
სულ მარაგები	38,705	36,002	38,704	35,994

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფისა და კომპანიის მარაგები 38,705 ათასი ლარის ოდენობით (2023: 36,011 ათასი ლარი) სესხის გირაოს სახით გადაცემული იქნა მესამე მხარეებისათვის. იხილეთ შენიშვნა 27.

11 მარაგები (გაგრძელება)

ხარჯის სახით აღიარებული მარაგების თვითღირებულებამ (რაც ასახულია რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაში) შეადგინა 307,528 ათასი ლარი (2023: 289,547 ათასი ლარი).

2024 წლის განმავლობაში, ჯგუფმა ჩამოწერა მარაგები 410 ათასი ლარის ოდენობით (2023 წელი: აღადგინა 107 ათასი ლარი). ჩამოწერის თანხები ასახულია რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაში, წლის მოგება-ზარალში.

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	37,730	39,916	37,205	39,389
სხვა ფინანსური მოთხოვნები*	6,308	11,391	6,253	11,336
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(27,560)	(27,286)	(27,044)	(26,771)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	16,478	24,021	16,414	23,954
გადახდილი ავანსი	2,967	2,724	2,958	2,715
შვილობილი საწარმოებისთვის				
გადახდილი ავანსი	-	-	-	59
სხვა	8	141	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19,453	26,886	19,372	26,728

*ფინანსური აქტივები ეს ის აქტივებია, რომლებიც ექვევს ფასს 7-ის, ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება-ს ფარგლებში.

1,305 ათასი ლარის ოდენობის სავაჭრო მოთხოვნები (2023 წლის დეკემბერი: 314 ათასი ლარი) გაუფასურების შემოსულობის ანარიცხებით, ნეტო, დენომინირებულია აშშ დოლარში. დანარჩენი სავაჭრო მოთხოვნები - ლარში.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ეფუძნება კლიენტების გადახდების პროფილს თითოეული ბალანსის თარიღამდე 36 თვის განმავლობაში და ამ პერიოდში მიღებულ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთი კორექტირებულია მომხმარებლის მიერ მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარზე მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენის მოხდენის მიმდინარე და პროგნოზირებადი ინფორმაციის ასახვით. ჯგუფმა გამოავლინა, რომ იმ ქვეყნების მშპ და გაცვლითი კურსი, რომელშიც ის ჰყიდის მის პროდუქციას და მომსახურებას, ყველაზე შესაფერისი ფაქტორებია და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის განაკვეთებს ამ ფაქტორებში მოსალოდნელ ცვლილებებზე.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი ანარიცხის მატრიცის მიხედვით. ანარიცხის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, პროგნოზირებადი ინფორმაციის აღსაწერად კორექტირებულს.

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ბვ. წილი მთლიან ღირებულებაში პროცენტებში / ათასი ლარი	კონსოლიდირებული							
	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალან- სო ღირებუ- ლება	Lifetime ECL*	ნეტო საბალან- სო ღირებუ- ლება	ზარა- ლის განაკვე- თი	ბრუტო საბალან- სო ღირებუ- ლება	Lifetime ECL*	ნეტო საბალან- სო ღირებუ- ლება
სავაჭრო მოთხოვნები								
ინდივიდუალური შეფასება	64%	22,396	(14,454)	7,942	89%	16,213	(14,454)	1,759
ჯგუფის მიხედვით შეფასება								
- მიმდინარე	4%	7,100	(209)	6,891	0%	14,371	(2)	14,369
- 30 დღეზე								
ვადაგადაცილებული	5%	1,081	(58)	1,023	1%	1,836	(13)	1,823
- 30 - 90 დღით								
ვადაგადაცილებული	19%	399	(76)	323	19%	1,029	(192)	837
- 91 - 180 დღით								
ვადაგადაცილებული	68%	137	(93)	44	29%	133	(39)	94
- 181 - 360 დღით								
ვადაგადაცილებული	80%	171	(147)	24	51%	252	(128)	124
- 360-ზე მეტი დღით								
ვადაგადაცილებული	100%	6,446	(6,446)	-	100%	6,082	(6,082)	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები		37,730	(21,483)	16,247		39,916	(20,910)	19,006
სხვა მოთხოვნები								
ინდივიდუალური შეფასება	1%	4,570	(4,459)	111	1%	4,546	(4,525)	21
ჯგუფის მიხედვით შეფასება								
- მიმდინარე	0%	-	-	-	0%	4,777	-	4,777
- 30 დღეზე								
ვადაგადაცილებული	4%	26	(1)	25	9%	35	(3)	32
- 30 - 90 დღით								
ვადაგადაცილებული	17%	98	(38)	60	17%	75	(10)	65
- 91 - 180 დღით								
ვადაგადაცილებული	60%	33	(16)	17	60%	80	(25)	55
- 181 - 360 დღით								
ვადაგადაცილებული	71%	47	(29)	18	71%	147	(82)	65
- 360-ზე მეტი დღით								
ვადაგადაცილებული	100%	1,534	(1,534)	-	100%	1,731	(1,731)	-
სულ სხვა მოთხოვნები		6,308	(6,077)	231		11,391	(6,376)	5,015

*ფინ. ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

	ინდივიდუალური							
	2024 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო დირებულ ეზა	Lifetime ECL*	ნეტო საბალან- სო დირებუ- ლება	ზარა- ლის განაკვე -თი	ბრუტო საბალან- სო დირებუ- ლება	Lifetime ECL*	ნეტო საბალან- სო დირებუ- ლება
ხვ. წილი მთლიან დირებულებაში პროცენტებში / ათასი ლარი								
სავაჭრო მოთხოვნები								
ინდივიდუალური შეფასება	63%	21,871	(13,939)	7,932	89%	15,688	(13,939)	1,749
ჯგუფის მიხედვით შეფასება								
- მიმდინარე	4%	7,100	(218)	6,882	0%	14,369	(2)	14,367
- 30 დღეზე ვადაგადაცილებული	5%	1,081	(58)	1,023	1%	1,836	(12)	1,824
- 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	19%	399	(76)	323	19%	1,029	(192)	837
- 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	68%	137	(93)	44	29%	133	(39)	94
- 181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	80%	171	(137)	34	51%	252	(128)	124
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	6,446	(6,446)	-	100%	6,082	(6,082)	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები		37,205	(20,967)	16,238		39,389	(20,394)	18,995
სხვა მოთხოვნები								
ინდივიდუალური შეფასება	99%	4,515	(4,459)	56	100%	4,546	(4,525)	21
ჯგუფის მიხედვით შეფასება								
- მიმდინარე	0%	-	-	-	0%	4,722	-	4,722
- 30 დღეზე ვადაგადაცილებული	4%	26	(1)	25	9%	35	(4)	31
- 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	39%	98	(38)	60	13%	75	(10)	65
- 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	48%	33	(16)	17	31%	80	(25)	55
- 181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	62%	47	(29)	18	56%	147	(82)	65
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	1,534	(1,534)	-	100%	1,731	(1,731)	-
სულ სხვა მოთხოვნები		6,253	(6,077)	176		11,336	(6,377)	4,959

*ფინ. ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ახსნილია საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნისთვის გამარტივებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემთხვევაში, წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024	2023	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები				
საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე 1 იანვრის მდგომარეობით	20,910	10,227	20,394	9,711
	573	12,052	573	12,052
ახლად წარმოქმნილი	-	(1,369)	-	(1,369)
სულ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი პერიოდის მოგება-ზარალში	573	10,683	573	10,683
საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,483	20,910	20,967	20,394
სხვა მოთხოვნები				
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა მოთხოვნებზე 1 იანვრის მდგომარეობით	6,376	1,389	6,377	1,388
ახლად წარმოქმნილი	-	4,989	-	4,989
სხვა მოძრაობები	(299)	-	(299)	-
სულ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი პერიოდის მოგება-ზარალში	(299)	4,989	(299)	4,989
ჩამოწერები	-	(2)	(1)	-
საკრედიტო ზარალის რეზერვი სხვა მოთხოვნებზე 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,077	6,376	6,077	6,377

13 გაცემული სესხები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებული მხარეებისთვის				
გაცემული სესხები	41,616	39,632	41,616	39,632
სხვა გაცემული სესხები	490	299	490	299
შემცირებული: სესხის გაუფასურების ანარიცხით	(633)	(633)	(633)	(633)
სულ გაცემული სესხები	41,473	39,298	41,473	39,298

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა 14,504 აშშ დოლარის (2023: 14,270 ათასი აშშ დოლარის) ოდენობის გაცემული სესხი ბატონ თემურ ჭყონიაზე, წლიური 8,6% საპროცენტო განაკვეთით. 2022 წლის 31 დეკემბრის მოხდა ხელშეკრულების განახლება, რის მიხედვითაც გაცემული

13 გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხის დაფარვის ვადა გახდა 2023 წლის 1 თებერვალი. აღნიშნული სესხის განახლება კვლავ მოხდა 2024 წლის 31 აგვისტოს დადებული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, გაცემული სესხის ვადა გაგრძელდა დამატებით 10 წლით, 2034 წლის 31 აგვისტომდე. სხვა პირობებში ცვლილება არ ყოფილა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ზარალის ანარიცხი შეადგენდა 633 ათას ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: 633 ათასი ლარი), 2024 წლის განმავლობაში საკრედიტო ზარალის ანარიცხში ცვლილება არ ყოფილა (2023: ნული).

ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საკრედიტო ხარისხი 2024 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული კრედიტი)	სულ
სესხები				
- საუკეთესო	-	-	-	-
- კარგი	41,473	-	-	41,473
- დამაკმაყოფილებელი	-	-	-	-
- სპეციალური მონიტორინგი	-	-	-	-
- დეფოლტი	-	-	633	633
ბრუტო საბალანსო ღირებულება	41,473	-	633	42,106
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	-	-	(633)	(633)
საბალანსო ღირებულება	41,473	-	-	41,473

ამორტიზებული ღირებულებით ასახული სესხების საკრედიტო ხარისხი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	ეტაპი 1 (12-თვიანი ECL)	ეტაპი 2 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, SICR-თვის)	ეტაპი 3 (მომსახურების ვადის განმავლობაში ECL, გაუფასურებული კრედიტი)	სულ
სესხები				
- საუკეთესო	-	-	-	-
- კარგი	39,298	-	-	39,298
- დამაკმაყოფილებელი	-	-	-	-
- სპეციალური მონიტორინგი	-	-	-	-
- დეფოლტი	-	-	633	633
ბრუტო საბალანსო ღირებულება	39,298	-	633	39,931
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	-	-	(633)	(633)
საბალანსო ღირებულება	39,298	-	-	39,298

იხილეთ შენიშვნა 30 ყველა კლასის სესხის შეფასებული რეალური ღირებულების სანახავად. დაკავშირებული მხარეების ნაშთების შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია შენიშვნა 7-ში.

14 ვადიანი დეპოზიტები

ხელმძღვანელობა თავისუფალ ფულად სახრებს აბანდებს საქართველოში არსებული ბანკების გრძელვადიან დეპოზიტებში. დეპოზიტორების საკრედიტო რეიტინგი მოცემულია 30-ე განმარტებით შენიშვნებში.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გააფორმა ერთ წლიანი სადეპოზიტო ხელშეკრულება; დეპოზიტი დენომინირებულია ლარში და წლიური საპროცენტო განაკვეთი არის 11%.

15 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	5	2	2	-
მოთხოვნამდე ნაშთები ბანკში	18,693	34,319	18,505	34,176
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	18,698	34,321	18,507	34,176

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხის შეჯამება შესაძლებელია Fitch რეიტინგების მეშვეობით. 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფულადი სახსრები იყო განთავსებული BB- რეიტინგის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხს, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო რისკის ხარისხების მიხედვით. ჯგუფისა და კომპანიის საკრედიტო რისკის შეფასების სისტემის აღწერისთვის, იხილეთ შენიშვნა 28.

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	მოთხოვნამდე ნაშთები ბანკში	ვადიანი დეპოზიტები	მოთხოვნამდე ნაშთები ბანკში	ვადიანი დეპოზიტები
- საუკეთესო	-	-	-	-
- კარგი	18,693	9,690	18,505	9,690
- დამაკმაყოფილებელი	-	-	-	-
- სპეციალური მონიტორინგი	-	-	-	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, ფული ხელზე გარდა	18,693	9,690	18,505	9,690

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო რისკის ხარისხების მიხედვით.

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	მოთხოვნამდე ნაშთები ბანკში	ვადიანი დეპოზიტები	მოთხოვნამდე ნაშთები ბანკში	ვადიანი დეპოზიტები
- საუკეთესო	-	-	-	-
- კარგი	34,319	-	34,176	-
- დამაკმაყოფილებელი	-	-	-	-
- სპეციალური მონიტორინგი	-	-	-	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, ფული ხელზე გარდა	34,319	-	34,176	-

16 განთავსებული კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამტკიცებული აქციების რაოდენობა შეადგენდა 8,754 ათასი, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 1 ლარი (31 დეკემბერი 2023 : 8,754 ათასი). თითოეულ ჩვეულებრივ აქციას ერთი ხმის უფლება აქვს. კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია 2024 და 2023 წლების განმავლობაში.

17 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების დაფარვის ვადები და საპროცენტო განაკვეთები:

ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
			2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სესხები DEG-გან	6.5%	01.04.2028	23,616	33,109	23,616	33,109
სესხები სს „თიბისი“ ბანკისგან	7-11%	01.04.2028	4,734	28,079	4,734	28,079
სესხები Over Glob AG-გან	8%	31.12.2023	204	196	204	196
სულ ნასესხები სახსრები			28,554	61,384	28,554	61,384

ნასესხები სახსრების საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათივე რეალურ ღირებულებასთან. ჯგუფისა და კომპანიის მიერ ნასესხები სახსრები დენომინირებული შემდგომ ვალუტაში:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნასესხები სახსრები დენომინირებულია				
- ქართულ ლარში	50	18,024	50	18,024
- აშშ დოლარში	205	196	205	196
- ევროში	28,299	43,164	28,299	43,164
სულ ნასესხები სახსრები	28,554	61,384	28,554	61,384

2017 წელს ხელმძღვანელობამ გამოაცხადა კომპანიის ქარხნის სოფელ ნატახტარში გადატანის გეგმა. ამ მიზნით ჯგუფმა ხელი მოაწერა გრძელვადიან დაფინანსების შეთანხმებას უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტთან- DEUTSCHE INVESTITIONS - UND ENTWICKLUNGSGESELLSCHAFT MBH (DEG), რომელიც გამოყენებული იქნება ქარხნის ახალ ადგილას გადატანისთვის და ადგილობრივი ბანკის სესხის გადაფარვისთვის. პროექტი წარმოების ახალი ხაზების და სისტემების დანერგვას ითვალისწინებს ახალ, თანამედროვე სივრცეში. სესხის დაფარვის თარიღია 2028 წელი, საბოლოო თანხის გადახდა მოხდება 2028 წლის 15 აპრილს. 2019 წლის თებერვალში, DEG-იმ ჩარიცხა პირველი დადასტურებული ტრანში 12 მილიონის ოდენობით, რომელიც კომპანიამ გამოიყენა 8.5 მილიონი ევროს სესხის დასაფარად, რომელიც 2018-2019 წლებში იყო თიბისი ბანკიდან აღებული, და ასევე, 3.5 მილიონი ევროს სესხი თიბისი ბანკისგან. 3 მილიონი ევროს ოდენობის მეორე ტრანში კომპანიამ მიიღო 2019 წლის აპრილში და დარჩენილი 3 მილიონი ევრო კომპანიას ჩაერიცხება 2020 წლის მაისში.

2024 და 2023 წელს, კომპანიამ დაამატა რამდენიმე ახალი საკრედიტო ხაზი და გრძელვადიანი სესხი სს თიბისი ბანკისგან, რომელთა გადახდის ვადაც არის 2028 წელი; დამატებითი სესხის მიზნობრიობა იყო ძირითადი საშუალებების შესყიდვა და მიმდინარე ოპერაციების დაფინანსება.

17 ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

კომერციული ბანკებისგან აღებული ვადიანი სესხები გარანტირებულია კომპანიის ყველა უძრავი თუ მოძრავი საკუთრების გირაოთი, საინვესტიციო ქონებას, მარაგებსა და კომპანიის აქციებით შპს „კალა ინვესტში“ და შპს „სოლომონი 1805-ში“. იხილეთ შენიშვნები 8, 9, 10 და 11.

18 ცვლილებები ფინანსური ოპერაციებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ანალიზი და ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მოძრაობა თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ვალდებულებების ეს მუხლები ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში როგორც საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები:

	კონსოლიდირებული				2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი		
	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი				ნასესხები სახსრები	იჯარის ვალდებულებები	სულ
	ნასესხები სახსრები	იჯარის ვალდებულებები	მომწოდებლის დაფინანსების გარიგება	სულ	ნასესხები სახსრები	იჯარის ვალდებულებები	სულ
<i>ათასი ლარი</i>							
ფინანსური აქტივობის ვალდებულებები 1 იანვრისთვის	61,384	3,708	-	65,092	80,182	2,100	82,282
ფულადი ნაკადები							
სესხის დამატებები	4,000	-	-	4,000	21,451	-	21,451
მომწოდებლის დაფინანსების გარიგებისთვის დამატებები	-	-	4,992	4,992	-	-	-
ძირი თანხის დაფარვა	(34,953)	(2,211)	-	(37,164)	(41,398)	(1,346)	(42,744)
მომწოდებლის დაფინანსების გარიგებისთვის გადახდები	-	-	(4,992)	(4,992)	-	-	-
პროცენტის გადახდები	(4,105)	(328)	-	(4,433)	(6,881)	(312)	(7,193)
არაფულადი ცვლილებები							
პროცენტის დარიცხვა	2,816	353	-	3,169	6,888	275	7,163
ახალი იჯარები	-	782	-	782	-	2,833	2,833
სავალუტო კორექტორებები	(588)	-	-	(588)	1,142	(3)	1,139
სხვა	-	212	-	212	-	161	161
ფინანსური აქტივობის ვალდებულებები 31 დეკემბრისთვის	28,554	2,516	-	31,070	61,384	3,708	65,092

18 ცვლილებები ფინანსური ოპერაციებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში (გაგრძელება)

	ინდივიდუალური			ინდივიდუალური		
	2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი			2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წელი		
	ნასესხები სახსრები	იჯარის ვალდებუ ლებები	მომწოდებ ლის დაფინანსე ბის გარიგება	ნასესხები სახსრები	იჯარის ვალდებულებებ ი	სულ
<i>ათასი ლარი</i>						
ფინანსური აქტივობის ვალდებულებები 1 იანვრისთვის	61,384	3,708	-	65,092	80,182	82,282
ფულადი ნაკადები						
სესხის დამატებები	4,000	-	-	4,000	21,451	21,451
მომწოდებლის დაფინანსების გარიგებისთვის დამატებები	-	-	4,992	4,992	-	-
ძირი თანხის დაფარვა	(34,953)	(2,211)	-	(37,164)	(1,346)	(42,744)
მომწოდებლის დაფინანსების გარიგებისთვის გადახდები	-	-	(4,992)	(4,992)	-	-
პროცენტის გადახდები	(4,105)	(328)	-	(4,433)	(312)	(7,186)
არაფულადი ცვლილებები						
პროცენტის დარიცხვა	2,816	353	-	3,169	275	7,156
ახალი იჯარები	-	782	-	782	2,833	2,833
სავალუტო კორექტორებები	(588)	-	-	(588)	(3)	1,139
სხვა	-	212	-	212	161	161
ფინანსური აქტივობის ვალდებულებები 31 დეკემბრისთვის	28,554	2,516	-	31,070	61,384	65,092

19 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება	33,772	37,287	33,453	36,694
ვალდებულებები ძირითადი საშუალებების შესყიდვისთვის	10,800	2,012	10,800	2,012
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	44,572	39,299	44,253	38,706
სხვა საგადასახადო ვალდებულებები თანამშრომელთა დარიცხული	3,645	5,216	3,634	5,196
ანაზღაურების დანახარჯი	3,350	2465	3,350	2465
სხვა	6	2	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	51,573	46,982	51,237	46,367

2024 წლის განმავლობაში ჯგუფმა დადო მომწოდებლისგან დაფინანსების შეთანხმება, რომელიც წლის ბოლომდე მთავრდებოდა. შეთანხმების თანახმად, დამფინანსებელი მომწოდებლისგან იძენს უფლებებს შერჩეულ სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაზე. შეთანხმების ძირითადი მახასიათებლები, პირობები და ვადებია:

- მომწოდებლისგან დაფინანსების შემოღების მთავარი მიზანია მომწოდებლის დახმარება ხელმისაწვდომი კრედიტის მიღებაში და ჯგუფის საბრუნავი კაპიტალის გაუმჯობესება;
- ინვოისები გადაეცა დამფინანსებელს;
- შემენილი გადასახდელების კომპენსირება მომწოდებლისგან მიღებული საკრედიტო ფასდათმობით აღარ არის შესაძლებელი;
- შეთანხმების შემოღებამდე და მის შემდეგ გადახდის ფორმები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

20 მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები

ჯგუფი იღებს შემოსავალს საქონლის რეალიზაციიდან, დროის მომენტში შემდეგ ძირითად პროდუქციის ჯგუფებსა და გეოგრაფიულ რეგიონებში:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024	2023	2024	2023
ამონაგები კოკა-კოლას ბრენდის პროდუქციის გაყიდვიდან	503,770	455,115	503,770	455,115
სულ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები	503,770	455,115	503,770	455,115

20 მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები (გაგრძელება)

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024	2023	2024	2023
რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე	486,818	422,048	486,818	422,048
რეალიზაცია უცხოურ ბაზარზე	16,952	33,067	16,952	33,067
სულ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები	503,770	455,115	503,770	455,115

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით, ჯგუფს არ უღიარებია ამონაგები მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში (2023: ნულოვანი აღიარება). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს ძირითადი საშუალებებისთვის მიღებულ ავანსებს.

21 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024	2023	2024	2023
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება კოკა-კოლას ბრენდის პროდუქციის გაყიდვიდან	(334,322)	(310,481)	(334,322)	(310,472)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(334,322)	(310,481)	(334,322)	(310,472)

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, ხარჯის კატეგორიების მიხედვით ნაჩვენებია ქვემოთ:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024	2023	2024	2023
ნედლეული და გამოყენებული მასალა	(307,528)	(289,547)	(307,528)	(289,538)
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	(12,681)	(9,659)	(12,681)	(9,659)
ცვეთის ხარჯი	(5,178)	(4,165)	(5,178)	(4,165)
სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები*	(4,046)	(4,449)	(4,046)	(4,449)
ენერგიისა და კომუნალური ხარჯები	(3,137)	(3,128)	(3,137)	(3,128)
სარემონტო და ექსპლუატაციის მომსახურება	(3,645)	(1,015)	(3,645)	(1,015)
მარაგების გაუფასურების რევერსი /(ხარჯი)	(410)	107	(410)	107
მზა პროდუქციის მარაგებში ცვლილებები	2,303	1,375	2,303	1,375
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(334,322)	(310,481)	(334,322)	(310,472)

*სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები მოიცავს წარმოებასთან დაკავშირებული მარაგების ჩამოწერისა და სხვა მცირედ დანახარჯებს.

მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი მოიცავს კანონმდებლობით დადგენილ კერძო საპენსიო შენატანებს 166 ათასი ლარის ოდენობით (2023: 119 ათასი ლარი).

22 დისტრიბუციის დანახარჯები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024	2023	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	(26,203)	(7,048)	(26,203)	(7,048)
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები	(19,380)	(13,286)	(19,380)	(13,286)
ტრანსპორტირების ხარჯები	(9,386)	(9,318)	(9,386)	(9,318)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(8,427)	(6,817)	(8,425)	(6,817)
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	(1,999)	(1,443)	(1,999)	(1,443)
სარემონტო და საექსპლუატაციო მომსახურება	(1,747)	(532)	(1,747)	(532)
სხვა	(463)	(50)	(463)	(40)
სულ დისტრიბუციის დანახარჯები	(67,605)	(38,494)	(67,603)	(38,484)

მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი მოიცავს კანონმდებლობით დადგენილ კერძო საპენსიო შენატანებს 468 ათასი ლარის ოდენობით (2023 წ. 112 ათასი ლარი).

23 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024	2023	2024	2023
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	(16,888)	(19,720)	(16,872)	(19,656)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(4,622)	(2,463)	(4,394)	(2,440)
ბანკისა და სხვა საკომისიო ხარჯები	(1,979)	(1,625)	(1,978)	(1,625)
პროფესიული მომსახურების ხარჯები	(1,395)	(890)	(1,337)	(890)
დაზღვევის ხარჯები	(748)	(383)	(748)	(383)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(700)	(668)	(699)	(668)
სარემონტო და საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯები	(347)	(1,301)	(347)	(1,297)
სხვა	(2,138)	(3,015)	(2,134)	(3,009)
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	(28,817)	(30,065)	(28,509)	(29,968)

მომუშავეთა გასამრჯელოების ხარჯი მოიცავს კანონმდებლობით დადგენილ კერძო საპენსიო შენატანებს 83 ათასი ლარის ოდენობით (2023 წ. 52 ათასი ლარი).

საინვესტიციო ქონების, რომელიც წარმოქმნის საიჯარო შემოსავალს, პირდაპირი საოპერაციო ხარჯები შეადგენდა 127 ათას ლარს (2023 წ. 101 ათასი ლარი) და მოიცავდა ძირითადი საშუალებების ცვეთასა, სარემონტო და საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებსა და მომუშავეთა გასამრჯელოებს.

პროფესიული მომსახურების ხარჯები მოიცავს 390 ათასი ლარს (2023: 241 ათასი ლარი) ოდენობით საზღაურს 2024 წელს აუდიტორის/აუდიტური ფირმის მიერ გაწეული აუდიტისა და სხვა პროფესიული მომსახურებისთვის, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

24 სხვა შემოსულობები/(ზარალი),ნეტო

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024	2023	2024	2023
ზარალი საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	10,538	(8,637)	8,401	(8,613)
ნეტო შემოსულობა/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	1,602	(1,645)	1,602	(1,645)
შემოსულობა წმინდა ინვესტიციებით ფინანსურ იჯარის აღიარებაში	-	676	-	676
ნეტო (ზარალი)/შემოსულობა სხვა მარაგების რეალიზაციიდან	(1,518)	(1,708)	(1,518)	(1,708)
ქველმოქმედებაზე გაწეული ხარჯები	(535)	(1,403)	(535)	(1,403)
სავალუტო შემოსულობა, ნეტო	(482)	(324)	(482)	(322)
სხვა	797	(669)	737	(570)
ნეტო სხვა შემოსულობები/(ზარალი)	10,402	(13,710)	8,205	(13,585)

25 ფინანსური შემოსავალი

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024	2023	2024	2023
ფულადი სახსრების მართვის მიზნით ფლობილი ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი:				
- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები	603	26	603	26
სავალუტო შემოსავალი, შემცირებული ზარალით გაცემული სესხებიდან	1,706	-	1,706	-
სავალუტო შემოსავალი, შემცირებული ზარალით მიღებული სესხებიდან	588	-	588	-
სხვა	2,742	2,650	2,742	2,650
სულ ფინანსური შემოსავალი	5,639	2,676	5,639	2,676

26 ფინანსური დანახარჯები

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024	2023	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	(3,169)	(7,163)	(3,169)	(7,156)
სავალუტო ზარალი, შემცირებული შემოსულობებით გაცემული სესხებიდან	-	(115)	-	(115)
საიჯარო ვალდებულებების შედეგად წარმოქმნილი ზარალი	-	(1,139)	-	(1,139)
სულ ფინანსური დანახარჯები	(3,169)	(8,417)	(3,169)	(8,410)

27 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობისას დროდადრო კომპანიის წინააღმდეგ შეაქვთ სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული კონსულტაციის საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით და შესაბამისად, ანარჩები შექმნილი არ არის წინამდებარე კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში.

საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც ძალაში შევიდა ან არსებითად ძალაში იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას, ჯგუფის ოპერაციების და საქმიანობებისას გამოყენებისას. შედეგად, ხელმძღვანელობის მიერ დაკავებულ საგადასახადო პოზიციას და ოფიციალურ დოკუმენტაციას, რომელიც ამყარებს აღნიშნულ საგადასახადო პოზიციას, შეიძლება არ დაეთანხმოს საგადასახადო ორგანო. საქართველოს საგადასახადო ადმინისტრაცია ეტაპობრივად ძლიერდება, არსებობს საგადასახადო ოპერაციების გადახედვის დიდი რისკი მკაფიო საქმიანი მიზნის გარეშე ან საგადასახადო შეუსაბამო კონტრაგენტებთან. ფისკალური პერიოდების არჩევა საგადასახადო ორგანოებზეა დამოკიდებული, შემოწმების გადაწყვეტილების მიღების წლის წინა სამი წლის გადასახადებთან მიმართებით. გარკვეულ გარემოებებში შემოწმებამ შეიძლება უფრო ხანგრძლივი პერიოდები მოიცვას.

კაპიტალური დანახარჯების მოვალეობები. 2024 წლის 31 დეკემბერს ჯგუფს სახელშეკრულებო მოვალეობები ჰქონდა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით მთლიანი თანხით 450 ათასი ქართული ლარი (2023 წ. 8,111 ათასი).

ჯგუფს უკვე განაწილებული აქვს აუცილებელი რესურსები, აღნიშნულ მოვალეობებთან დაკავშირებით. ჯგუფს სჯერა, რომ სამომავლო წმინდა შემოსავალი და დაფინანსება საკმარისი იქნება აღნიშნულის და ნებისმიერი სხვა მსგავსი მოვალეობის დასაფარად.

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს გააჩნია გირაოს სახით ჩადებული აქტივები, რომელიც მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	შენიშვნები	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
		2024	2023	2024	2023
ძირითადი საშუალებები	8	178,013	124,934	177,954	124,876
საინვესტიციო ქონება	9	108,610	95,036	99,911	88,474
მარაგები	11	38,705	35,378	38,704	35,373
ინვესტიციები შვილობილებში		-	-	4,413	4,013
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში	10	445	1,715	445	1,715
სულ დაგირავებული და შეზღუდული აქტივები 31 დეკემბერს		325,773	257,063	321,427	254,451

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებემოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

27 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

შესაბამისობა შეთანხმებულ პირობებთან. ჯგუფმა უნდა შეასრულოს გარკვეული შეთანხმებული პირობები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია თიბისი ბანკისა და DEG-ისგან მიღებულ ნასესხებ სახსრებთან. მსგავსი პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი შედეგი ჯგუფისთვის, მათ შორის სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება.

ჯგუფი და კომპანია იყენენ შესაბამისობაში შეთანხმებულ პირობებთან 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

28 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფულადი სახსრებიდან და მათი ექვივალენტებიდან და ჯგუფის მიერ პარტნიორებთან გასესხების ან სხვა ოპერაციების განხორციელების შედეგად, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებსა და ბალანსგარეშე კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ჯგუფის საქმიანობის ერთადერთი უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული განაკვეთებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ზღვრები. ჯგუფი თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის მსესხებელთან, მსესხებელთა ჯგუფთან ან გეოგრაფიულ და დარგობრივ სეგმენტებთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. როგორც წესი, ხელმძღვანელობა ამტკიცებს პროდუქტებისა და სამრეწველო დარგების მიხედვით საკრედიტო რისკის ზღვრებს. მსგავსი რისკების მონიტორინგი რეგულვურ საფუძველზე ხორციელდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო ხშირ მიმოხილვას.

საკრედიტო რისკის ქულების მინიჭების სისტემა. საკრედიტო რისკის შესაფასებლად და საკრედიტო რისკის დონის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ქულების მისანიჭებლად ჯგუფი იყენებს რისკის დონეზე დაფუძნებულ მიდგომას ს რომლებიც შეფასებულია გარე, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (როგორიცაა Standard & Poor's - "S&P", Fitch, Moody's) მიერ შეფასებული რისკის ქულებით. შიდა და გარე საკრედიტო რეიტინგები დაიტანება ადგილზე შედგენილ ძირითად შკალაზე, სადაც მითითებულია დეფოლტის ალბათობის ინტერვალი, რაც ქვემოთ არის გამჟღავნებული:

28 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის ქულების ძირითადი შკალა	შესაბამისი შიდა რეიტინგი	გარე, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (S&P) შესაბამისი რეიტინგი	დეფოლტის აღბათობის შესაბამისი ინტერვალი
საუკეთესო	[1 – 6]	AAA to BB+	0,01% - 0,5%
კარგი	[7 – 14]	BB to B+	0,51% - 3%
დამაკმაყოფილებელი	[15 – 21]	B, B-	3% - 10%
სპეციალური მონიტორინგი	[22 – 25]	CCC+ to CC-	10% - 99,9%
დეფოლტი	[26 – 30]	C, D-I, D-II	100%

საკრედიტო რისკის ქულების ძირითადი შკალის ქულები მიენიჭება კრედიტუნარიანობის კონკრეტულ ხარისხს:

- *საუკეთესო* – მაღალი საკრედიტო ხარისხი, დაბალი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- *კარგი* – სათანადო საკრედიტო ხარისხი, საშუალო მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- *დამაკმაყოფილებელი* – საშუალო საკრედიტო ხარისხი, დამაკმაყოფილებელი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- *სპეციალური მონიტორინგი* – საჭიროებს მჭიდრო მონიტორინგსა და გამოსწორებით მენეჯმენტს; და
- *დეფოლტი* – ადგილი ჰქონდა დეფოლტს.

რეიტინგის მოდელების მიმოხილვას რეგულარულად ფინანსური დეპარტამენტი, ამასთან, ის ახორციელებს მის ფაქტობრივ მონაცემებზე გამოცდას და განახლებს, საჭიროების შემთხვევაში. მიუხედავად გამოყენებული მეთოდისა, ჯგუფი რეგულარულად ახორციელებს რეიტინგის შეფასებების სისწორის დადასტურებას და აფასებს მოდელის წინასწარგანჭვრეტის შესაძლებლობას.

გარე რეიტინგები პარტნიორებს ენიჭებათ დამოუკიდებელი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ, როგორცაა მაგალითად S&P, Moody's და Fitch. ეს რეიტინგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი ფინანსური აქტივების კლასის მიხედვით არის შემდეგი:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული		ინდივიდუალური	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გაცემული სესხები (შენიშვნა 13)	41,473	39,298	41,473	39,298
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 12)				
- სავაჭრო მოთხოვნები	16,247	19,006	16,238	18,994
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	231	5,015	176	4,960
ვადიანი დეპოზიტები (შენიშვნა 14)	9,690	-	9,690	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 15)				
- ფული ხელზე	5	2	2	-
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	18,693	34,319	18,505	34,176
სულ საბალანსო უწყისზე საკრედიტო ზარალი	86,339	97,640	86,084	97,428
სულ შესაძლო მაქსიმალური საკრედიტო ზარალი	86,339	97,640	86,084	97,428

28 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ECL არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ცდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით.

ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების ორ მიდგომას - ინდივიდუალურ და კოლექტიურ შეფასებებს. ინდივიდუალური შეფასების მიდგომა ხორციელდება გარკვეული მომხმარებლებისთვის, რომელთა ბალანსი სცილდება 1,000 ათას ლარს და იმ მნიშვნელოვანი მოვალეობებისთვის, რომელთაც გააჩნიათ სპეციფიკური არსებითი ბალანსი, მაგალითად საინვესტიციო საკუთრების არენდის მოთხოვნები.

იმის შეფასება, თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას („SICR“), ტარდება ინდივიდუალურად და პორტფელისთვის. კორპორაციულ საწარმოებზე გაცემული სესხების, ამორტიზებული ღირებულებით „SICR“-ის შეფასება ხდება ინდივიდუალურ საფუძველზე, ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მონიტორინგის გამოყენებით. პიროვნებებზე გაცემული სესხებისა და სხვა ფინანსური აქტივებისთვის „SICR“-ის შეფასება ხდება ინდივიდუალურად. ხორციელდება „SICR“-ის გამოვლენისთვის გამოყენებული კრიტერიუმების მონიტორინგი და მათი სათანადოობა პერიოდულად გადაისინჯება ჯგუფის რისკის მართვის დეპარტამენტის მიერ. მიიჩნევა, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, როდესაც ფინანსური აქტივები 30 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული და ამის უარყოფას ადგილი არ ჰქონია.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსურმა ინსტრუმენტმა „SICR“ განიცადა, როდესაც ქვემოთ მოცემული ხარისხობრივი, რაოდენობრივი ან შეკავების (backstop) კრიტერიუმებიდან ერთი ან მეტი დაკმაყოფილდება.

იურიდიული პირებისთვის გაცემული სესხებისთვის:

- 30 დღით ვადაგადაცილება;
- რისკის ხარისხის „სპეციალური მონიტორინგი“ მინიჭება;
- „SICR“ ეფუძნება ფარდობით ზღვარს, რომელიც დაფუძნებულია გარე ან შიდა რეიტინგებზე.
- სესხის საკონტროლო სიაში ჩართვა შიდა საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესის შესაბამისად.

კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებული ECL-ის დონე დამოკიდებულია იმაზე, მსესხებლის საკრედიტო რისკი გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ეს „ECL“-ის შეფასების სამ-ეტაპიანი მოდელია. ფინანსურ ინსტრუმენტს, რომლის კრედიტი გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას და მისი საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ იზრდება თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აქვს 12-თვიან „ECL“-ზე დაფუძნებული საკრედიტო რისკის ანარიცხი (1-ლი ეტაპი). თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოვლინდა SICR-ის ზრდა, ფინანსური ინსტრუმენტი გადააქვთ მე-2 ეტაპზე, მაგრამ ის გაუფასურებული კრედიტის მქონედ არ მიიჩნევა და ზარალის ანარიცხი ეფუძნება მომსახურების ვადაში „ECL“-ს. ფინანსური ინსტრუმენტის კრედიტის გაუფასურების შემთხვევაში ეს ფინანსური ინსტრუმენტი გადააქვთ მე-3 ეტაპზე და ზარალის ანარიცხი ეფუძნება მომსახურების ვადაში „ECL“-ს. აქტივის მე-3 ეტაპზე არსებობს შედეგია ის, რომ საწარმო წყვეტს მთლიანი საბალანსო ღირებულების საფუძველზე საპროცენტო შემოსავლის აღიარებას და საპროცენტო შემოსავლის გამოთვლისას იყენებს აქტივის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს საბალანსო ღირებულებაზე, „ECL“-ის გარეშე.

28 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

თუ არსებობს მტკიცებულება, რომ SICR-ის კრიტერიუმები აღარ არის დაცემადი, მაშინ ინსტრუმენტს ისევ 1-ელ ეტაპზე აბრუნებენ. თუ რისკი მე-2 ეტაპზე გადაიტანება ხარისხობრივი მაჩვენებლის საფუძველზე, ჯგუფი ახორციელებს მონიტორინგს, ეს ინდიკატორი ისევ არსებობს თუ შეიცვალა.

ჯგუფი „ECL“-ის შესაფასებლად ორ მიდგომას იყენებს: (i) ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასება; (ii) პორტფელის საფუძველზე შეფასება. ჯგუფი შეფასებას ინდივიდუალურ საფუძველზე ატარებს შემდეგი ტიპის სესხებისთვის: უნიკალური საკრედიტო რისკის მახასიათებლების სესხებისთვის, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისთვის, ანუ როდესაც ინდივიდუალური რისკი აღემატება 100 ათას ლარს და გაუფასურებული კრედიტის მქონე სესხები აღემატება 100 ათას ლარს. ჯგუფი პორტფელის საფუძველზე შეფასებას ატარებს შემდეგი სახის სესხებისთვის: როდესაც ხელმისაწვდომია მსესხებლის შესახებ სპეციფიკური ინფორმაცია.

„ECL“ მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ორივე, „SICR“-ის შეფასება და „ECL“-ის გამოთვლა გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. ჯგუფი გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან.

საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება ჯგუფის ფინანსური ჯგუფის მიერ და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო სამ წელში. სამი წლის შემდეგ საშუალოს რევერსიის მეთოდი გამოიყენება, რომელიც გულისხმობს, რომ ეკონომიკური ცვლადები უბრუნდება გრძელვადიან საშუალოს (მაგ. უცხოური ვალუტის გაცვლისთვის) ან გრძელვადიან საშუალო ზრდის ტემპს (მაგ., მშპ).

საბაზრო რისკი. ჯგუფს გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ, მიმართებით. ამასთან, თითოეულ მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებით ხელმძღვანელობა ვალუტების მიხედვით ადგენს რისკის ზღვრულ დონეს, როგორც ერთდღიანი, ისე დღიური პოზიციებისათვის, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ტარდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის სავალუტო რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	კონსოლიდირებული					
	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ნეტო საბალანსო პოზიცია
ათასი ლარი						
აშშ დოლარი	11,466	(10,011)	1,455	41,316	(8,058)	33,258
ევრო	1	(36,066)	(36,065)	2,348	(45,160)	(42,812)
ლარი	74,872	(29,565)	45,307	53,976	(51,171)	2,805
სულ	86,339	(75,642)	10,697	97,640	(104,389)	(6,749)

28 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	ინდივიდუალური					
	2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით			2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით		
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური აქტივები	ნეტო საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	11,466	(10,011)	1,455	41,317	(8,058)	33,259
ევრო	1	(36,066)	(36,065)	2,348	(45,160)	(42,812)
ლარი	74,617	(29,246)	45,371	53,763	(50,597)	3,166
სულ	86,084	(75,323)	10,761	97,428	(103,815)	(6,387)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიჩნეულია, რომ არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ წარმოქმნის რაიმე არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალისა და კაპიტალის სენსიტიურობა ჯგუფის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით გაცვლითი კურსების გონივრულად შესაძლო ცვლილებებისადმი, სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების პირობებში:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული			
	2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით		2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	
	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	291	247	6,652	4,213
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	(291)	(247)	(6,652)	(4,213)
ევროს გამყარება 20%-ით	(7,213)	(6,131)	(8,562)	(7,730)
ევროს გაუფასურება 20%-ით	7,213	6,131	8,562	7,730

ათასი ლარი	ინდივიდუალური			
	2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით		2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	
	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	291	247	6,652	5,654
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	(291)	(247)	(6,652)	(5,654)
ევროს გამყარება 20%-ით	(7,213)	(6,131)	(8,562)	(7,278)
ევროს გაუფასურება 20%-ით	7,213	6,131	8,562	7,278

რისკი გამოთვლილ იქნა ჯგუფის შესაბამისი საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში გამოსახული ფულადი ნაშთებისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფს აქვს თავის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გავლენის რისკი. მსგავსი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟა, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოქმნას მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებს და ზღვრებს აწესებს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ფასწარმოქმნის შეუსაბამობის დონეზე.

28 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები, საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ან დაფარვის ვადის მიხედვით.

	კონსოლიდირებული					
	მოთხოვნამდე და 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	პროცენტის გარეშე	სულ
ათასი ლარი						
2024 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	9,794	505	10,195	30,669	35,176	86,339
სულ ფინანსური ვალდებულებები	(2,342)	(696)	(7,218)	(23,814)	(41,572)	(75,642)
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო სენსიტიურობა 2024 წლის 31 დეკემბერს						
	7,452	(191)	2,977	6,855	(6,396)	10,697
2023 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	39,298	-	-	-	58,342	97,640
სულ ფინანსური ვალდებულებები	(7,426)	(4,409)	(21,471)	(34,786)	(36,297)	(104,389)
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო სენსიტიურობა 2023 წლის 31 დეკემბერს						
	31,872	(4,409)	(21,471)	(34,786)	22,045	(6,749)
	ინდივიდუალური					
	მოთხოვნა-მდე და 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	პროცენტის გარეშე	სულ
ათასი ლარი						
2024 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	9,794	505	10,195	30,669	34,921	86,084
სულ ფინანსური ვალდებულებები	(2,342)	(696)	(7,218)	(20,814)	(44,253)	(75,323)
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო სენსიტიურობა 2024 წლის 31 დეკემბერს						
	7,452	(191)	2,977	9,855	(9,332)	10,761
2023 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	39,298	-	-	-	58,130	97,428
სულ ფინანსური ვალდებულებები	(7,426)	(4,409)	(24,471)	(31,786)	(35,723)	(103,815)
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო სენსიტიურობა 2023 წლის 31 დეკემბერს						
	31,872	(4,409)	(24,471)	(31,786)	22,407	(6,387)

28 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ჯგუფს არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა ჯგუფის საქმიანობისთვის.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. ჯგუფი ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს ჯგუფის ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზის მონიტორინგს. ჯგუფი ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას ძირითადად მიღებული სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მეშვეობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება სპოტ გაცვლითი კურსით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბერს:

	კონსოლიდირებული					
	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ათასი ლარი						
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	2,499	273	7,886	20,668	-	31,326
საიჯარო ვალდებულებები	194	935	1,026	1,553	-	3,708
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19,993	7,412	9,125	3,000	-	39,530
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	22,686	8,620	18,037	25,221	-	74,564
	ინდივიდუალური					
	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ათასი ლარი						
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	2,499	273	7,886	20,668	-	31,326
საიჯარო ვალდებულებები	194	935	1,026	1,553	-	3,708
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19,419	7,412	9,125	3,000	-	38,956
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	22,112	8,620	18,037	25,221	-	73,990

28 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერს:

	კონსოლიდირებული					
	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ათასი ლარი						
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	6,604	2,010	25,637	33,151	-	67,402
საიჯარო ვალდებულებები	194	935	1,026	1,553	-	3,708
სავაჭრო და სხვა						
ვალდებულებები	19,760	7,412	9,125	3,000	-	39,297
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	26,558	10,357	35,788	37,704	-	110,407
	ინდივიდუალური					
	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ათასი ლარი						
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	6,604	2,010	25,637	33,151	-	67,402
საიჯარო ვალდებულებები	194	935	1,026	1,553	-	3,708
სავაჭრო და სხვა						
ვალდებულებები	19,186	7,412	9,125	3,000	-	38,723
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	25,984	10,357	35,788	37,704	-	109,833

29 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზნები გახლავთ დაცვა კომპანიის უნარისა, გააგრძელოს მუშაობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. ჯგუფის მიერ გამოუმუშავებული კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 340,445 ათასი ლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 255,438 ათასი ლარი). ჯგუფი ითვალისწინებს ხელმძღვანელობის ქვეშ არსებულ კაპიტალს, როგორც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ნაჩვენებ კაპიტალს.

30 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებები

რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებებია, რომელთა გაკეთება მოითხოვება ან ნებადართულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

რეალური ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, შემდეგია:

ათასი ლარი	2024				2023			
	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ
ფინანსური აქტივები								
<i>ინვესტიციები</i>								
<i>წილობრივ ფასიან ქაღალდებში</i>								
- აქციები სს არგოში	-	-	445	445	-	-	1,715	1,715
არაფინანსური აქტივები								
- საინვესტიციო ქონება	-	-	108,610	108,610	-	-	95,036	95,036
სულ აქტივების რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებები 31 დეკემბერს	-	-	109,055	109,055	-	-	96,751	96,751

30 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

შეფასების მეთოდები და რეალური ღირებულების მე-2 დონის შეფასებისათვის გამოყენებული მონაცემები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

	რეალური ღირებულება	შეფასების მეთოდი	გამოყენებულ ი მონაცემები	მონაცემების სპექტრი (საშუალო შეწონილი)	გონივრული ცვლილება	რეალური ღირებულებ ის შეფასების მგრძნობელო ბა
<i>ათასი ლარი</i>						
აქტივები რეალური ღირებულებით						
ფინანსური აქტივები						
ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში						
- აქციები სს არგოში	445	ფულადი სახსრების დისკონტირე ბული მეთოდი	მოგება/ზარა ლის ანგარიშგება, EBITDA	N/A	N/A	N/A
არაფინანსური აქტივები						
- საინვესტიციო ქონება	108,610	ბაზარზე არსებული შესაძარისი ანალოგები / შემოსავლის მიდგომა	შემოსავალი/ სასტუმროს დაკავებული ბის დონე	N/A	N/A	N/A
სულ რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებები მე-3 დონეზე	109,055					

ზემოთ მოცემულ ცხრილებში გამჟღავნებულია ფინანსური აქტივების შეფასების მგრძნობელობა გამოყენებული მონაცემებისადმი, მნიშვნელოვნად შეცვლიდა თუ არა რეალურ ღირებულებას ერთი ან მეტი არაემპირიული ამოსავალი მონაცემების ცვლილება, გონივრულად შესაძლო ალტერნატიული დაშვებების ასახვისათვის. ამ მიზნისათვის მნიშვნელობა განიხილება მოგებასთან ან ზარალთან მიმართებაში, მთლიან აქტივებთან მიმართებაში, ან, როდესაც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება, მთლიან კაპიტალთან მიმართებაში.

მე-3 დონის რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი არ შეცვლილა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში (2023 წ. არავითარი). საინვესტიციო ქონება წარმოადგენს სამრეწველო მიწას და შენობა-ნაგებობებს, რომელთა შეფასებას ჯგუფი ახორციელებს მოლოდინის გათვალისწინებით, რომ მას გარდაქმნის გასართობ/დასასვენებელ კომპლექსად.

რეალური ღირებულების შეფასების მგრძნობელობა, რომელიც გამჟღავნებულია ზემოთ მოცემულ ცხრილში, გვიჩვენებს შეფასების შედეგზე გავლენის მიმართულებას, შესაბამისი გამოყენებული ცვლადების გაზრდის ან შემცირების შემთხვევაში. ჯგუფის მიერ წილობრივი ინვესტიციების მე-3 დონის შეფასებისას გამოყენებულ არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს შორის რაიმე ურთიერთკავშირი არ ყოფილა იდენტიფიცირებული. მე-3 დონის რეალური ღირებულების ცვლილებების შეჯერება ინსტრუმენტების ჯგუფებისათვის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს იყო შემდეგი:

30 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ათასი ლარი	ფასიანი ქაღალდები FVOCI-ით	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
რეალური ღირებულება 1 იანვარს	1,715	3,533
სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობები ან ზარალი	(1,269)	(1,818)
რეალური ღირებულება 1 იანვარს	445	1,715

(გ) შეფასების პროცესები რეალური ღირებულების მე-3 დონის პერიოდული შეფასებებისათვის

მე-3 დონის შეფასებებს ჯგუფის ფინანსური დირექტორი განიხილავს ყოველთვიურად და ანგარიშს კვარტლურად აწვდის დირექტორთა საბჭოს. კომიტეტი განიხილავს შეფასების მოდელის მონაცემების შესაბამისობას, ისევე როგორც შეფასების შედეგებისას, სხვადასხვა შეფასების მეთოდების და ხერხების გამოყენებით. ყველაზე შესაფერისი შეფასების მოდელის შერჩევისას კომიტეტი ახორციელებს უკუტესტირებას და ითვალისწინებს, თუ რომელი მოდელი იძლევა შედეგებს, რომლებიც ისტორიულად ყველაზე ახლოსაა ფაქტობრივ საბაზრო ოპერაციებთან. მესამე დონის წილობრივი ინსტრუმენტების შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს შესადარის სავაჭრო ჯერადებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს შესადარის რეგისტრირებულ კომპანიებს (კოლეგებს) დარგის, სიდიდის, განვითარების ეტაპის და სტრატეგიის საფუძველზე. შემდეგ ხელმძღვანელობა ითვლის სავაჭრო ჯერადს თითოეული იდენტიფიცირებული შესადარის კომპანიისათვის. ეს ჯერადი გამოითვლება შესადარის კომპანიის საწარმოს ღირებულების გაყოფით მის მოგებაზე პროცენტის, გადასახადების, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA). შემდეგ ხორციელდება აღნიშნული სავაჭრო ჯერადის დისკონტირება, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებისათვის, როგორიცაა არალიკვიდურობა და შესადარის კომპანიებს შორის განსხვავებები კომპანიისათვის, სპეციფიკური ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ მათი რეალური ღირებულება გამჟღავნებულია.

რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაანალიზებული რეალური ღირებულებები და იმ აქტივების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	კონსოლიდირებული				ინდივიდუალური			
	2024 წლის 31 დეკემბერი				2024 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	5	18,693	-	18,698	2	18,505	-	18,507
ვადიანი დეპოზიტები	-	9,690	-	9,690	-	9,690	-	9,690
გაცემული სესხები	-	-	41,473	41,473	-	-	41,473	41,473
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	19,453	19,453	-	-	19,372	19,372
სულ აქტივები	5	28,383	60,926	89,314	2	28,195	60,845	89,042
ფინანსური ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები	-	-	28,554	28,554	-	-	28,554	28,554
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	51,573	51,573	-	-	51,237	51,237
სულ ვალდებულებები	-	-	80,127	80,127	-	-	79,791	79,791

30 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	კონსოლიდირებული				ინდივიდუალური			
	2023 წლის 31 დეკემბერი				2023 წლის 31 დეკემბერი			
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
<i>ათასი ლარი</i>								
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2	34,319	-	34,321	-	34,176	-	34,176
გაცემული სესხები	-	-	39,297	39,297	-	-	39,298	39,298
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	26,886	26,886	-	-	26,728	26,728
სულ აქტივები	2	34,319	66,184	100,505	-	34,176	66,026	100,202
ფინანსური ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები	-	-	(61,384)	(61,384)	-	-	(61,384)	(61,384)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	(46,982)	(46,982)	-	-	(43,367)	(43,367)
სულ ვალდებულებები	-	-	(108,366)	(108,366)	-	-	(104,751)	(104,751)

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 დონის რეალური ღირებულებები შეფასებული იქნა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა სამომავლო ფულადი ნაკადების, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ. რეალური ღირებულების იერარქიაში მე-3 დონის რეალური ღირებულება შეფასდა საბაზრო შედარების მიდგომის გამოყენებით, უძრავი ქონების ფასების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებულს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

31 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები „FVTPL“-ით; (ბ) სავალო ინსტრუმენტები „FVOCI“-ით, (გ) წილობრივი ინსტრუმენტები „FVOCI“-ით და (დ) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. „FVTPL“-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა „FVTPL“-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია აღნიშნული შეფასების კატეგორიების ფინანსური აქტივების შეჯერება 2024 წლის 31 დეკემბერს:

	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	წილობრივი ინსტრუმენ- ტები FVOCI-ით	ამორტიზე- ბული ღირებუ- ლება	სულ	წილობ- რივი ინსტრუმენ- ტები FVOCI-ით	ამორტიზე- ბული ღირებუ- ლება	სულ
<i>ათასი ლარი</i>						
აქტივები						
<i>ფული და ფულის ეკვივალენტები</i>	-	18,698	18,698	-	18,507	18,507
<i>ვადიანი დეპოზიტები</i>	-	9,690	9,690	-	9,690	9,690
<i>ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში</i>						
- აქციები სს არგოში	445	-	445	4,907	-	4,907
<i>გაცემული სესხები</i>	-	41,473	41,473	-	41,473	41,473
<i>სხვა ფინანსური აქტივები:</i>						
- სავაჭრო მოთხოვნა	-	19,453	19,453	-	19,372	19,372
სულ ფინანსური აქტივები	445	89,314	89,759	4,907	89,042	93,949

31 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია აღნიშნული შეფასების კატეგორიების ფინანსური აქტივების შეჯერება 2023 წლის 31 დეკემბერს:

	კონსოლიდირებული			ინდივიდუალური		
	წილობრივი ინსტრუმენ- ტები FVOCI-ით	ამორტიზებ- უ-ლი დირებუ- ლება	სულ	წილობ- რივი ინსტრუმენ- ტები FVOCI-ით	ამორტიზებ- უ-ლი დირებუ- ლება	სულ
<i>ათასი ლარი</i>						
აქტივები						
<i>ფული და ფულის ეკვივალენტები</i>	-	34,321	34,321	-	34,176	34,176
<i>ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში</i>						
- აქციები სს არგოში	6,176	-	6,176	6,176	-	6,176
<i>გაცემული სესხები</i>	-	39,298	39,298	-	39,298	39,298
<i>სხვა ფინანსური აქტივები:</i>						
- სავაჭრო მოთხოვნა	-	26,886	26,886	-	26,728	26,728
სულ ფინანსური აქტივები	6,176	100,505	106,683	6,176	100,202	106,378

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი, ასახული იყო ამორტიზებული დირებულებით.

32 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

შპს ჯორჯია პალას ჰოტელ და სპა. 2025 წლის 1 თებერვლიდან კომპანიამ შეწყვიტა GPH სასტუმროს საიჯარო ხელშეკრულება შპს ჭყონია და კომპანიასთან და იმავე პირობით საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა 2024 წლის დეკემბერში დაარსებულ შვილობილ კომპანიასთან შპს ჯორჯია პალას ჰოტელ და სპასთან. 2025 წლის 29 ივნისს კომპანიამ სრულად შეიტანა მის ბალანსზე არსებული GPH-ის სასტუმროს აქტივები შპს ჯორჯია პალას ჰოტელ და სპას კაპიტალში, რომლის საფუძველზე შეწყდა საიჯარო ხელშეკრულება.

შპს დისტრიბუცია 2024-ის ოპერაციები. 2025 წლის 1 იანვრიდან კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება შპს დისტრიბუცია 2024, რომელიც კლასიფიცირებული იყო, როგორც უმოქმედო 2023 წლის 31 დეკემბრისთვის გამხდარიყო მოქმედი საწარმო. შპს დისტრიბუცია 2024-მა დაიწყო საბითუმო გაყიდვები ქვეყნის მასშტაბით.

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება 2024

1. კომპანიის ბიზნესის განვითარება, საქმიანობის შედეგები და მდგომარეობა

კომპანიის შინაარსი, მისი შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი და საქმიანობა.

სააქციო საზოგადოება კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია „The Coca-Cola Company-ს“ ოფიციალურად ლიცენზირებული პროდუქციის ჩამომსხმელი კომპანიაა 1993 წლიდან, რომელიც უფლებამოსილია საქართველოში სავაჭრო ნიშნების გამოყენებასა და პროდუქციის ჩამოსხმა/რეალიზაციაზე. კომპანია ოპერირებს გამაგრილებელი სასმელების წარმოების ინდუსტრიაში და აღნიშნულ სეგმენტში ბაზრის ლიდერია. ადგილობრივი ბაზრის გარდა, კომპანიას პროდუქცია გააქვს ექსპორტზე მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში. კომპანია შუშის, მეტალისა და PET მასალის გამოყენებით, აწარმოებს 150მლ., 250 მლ., 330 მლ., 500 მლ., 750 მლ., 1000 მლ., 1500 მლ., 2000 მლ., 3000მლ., 5000მლ. შეფუთვებში გაზიან გამაგრილებელ სასმელებს, ცივ ჩაის, წვენებს, მინერალურ წყალსა და ენერგეტიკულ სასმელებს.

2024 წლის განმავლობაში, სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას (მომავალში „ჯგუფის“) შვილობილი კომპანიების სია:

1. შპს მერკური 99 - საქმიანობა შეჩერებულია;
2. შპს ქობულეთი XXI - საინვესტიციო ქონება, სასტუმრო ვილა;
3. შპს ქინგს ინ - საინვესტიციო ქონება, სასტუმრო ძველ თბილისში;
4. შპს კალა ინვესტი - საქმიანობა შეჩერებულია;
5. შპს სოლომონ 1805 - საქმიანობა შეჩერებულია;
6. შპს დისტრიბუცია 2024 – საქმიანობა შეჩერებულია;
7. შპს ცენტურიონი - საქმიანობა შეჩერებულია;
8. შპს კოკა-კოლა მესხეთი - საქმიანობა შეჩერებულია;
9. შპს ჯორჯია პალას ჰოტელ და სპა - დაარსდა 2024 წლის 24 დეკემბერს;

ჯგუფისთვის, ისევე როგორც კომპანიისთვის, 2024 წელს წლიური ბრუნვა წინა წელთან შედარებით 11%-ით გაიზარდა. წინა წლების მსგავსად, 2024 წელს გამაგრილებელი სასმელების ბაზრის ზრდის ტენდენცია გაგრძელდა. შიდა ფაქტორებიდან, აღსანიშნავია ახალი მაცივრების განთავსება და ბაზრისთვის მეტი ცივი პროდუქტის შეთავაზება, მარკეტინგული აქტივობის ზრდა სხვადასხვა მიმართულებით, მაღალი ხარისხის ბრომატის გარეშე წყლის წარმოება და ბაზრის ათვისების ზრდა. გარე ფაქტორებიდან კი წლის განმავლობაში, ტურისტული ნაკადების ზრდის დადებითი ტენდენცია კვლავ გაგრძელდა.

2024 წლის განმავლობაში, კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში დასაქმებული იყო საშუალოდ, 923 თანამშრომელი (2023: 496 თანამშრომელი), მათ შორის 125 ქალი და 798 კაცი (2023: 91 ქალი და 405 კაცი); შვილობილ კომპანიებთან ერთად, თანამშრომელთა რიცხვი იყო 934 დასაქმებული (2023: 507 თანამშრომელი), მათ შორის 129 ქალი და 805 კაცი (2023: 95 ქალი და 412 კაცი).

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნის ტენდენციიდან გამომდინარე, 2024 წელს გაგრძელდა წინა წლებში დაწყებული საინვესტიციო აქტივობები. კერძოდ, ახალი ხაზების მონტაჟი და სასაწყობე ფართების მშენებლობები, რომელიც გრძელდება 2025-ში.

2022 წლის თებერვლის თვეში, უკრაინაში განხორციელებული სამხედრო ინტერვენციის შედეგად, რუსეთის ბაზრიდან კოკა-კოლა კომპანიის გამოსვლამ გააჩინა ახალი მოთხოვნა მეზობელი ქვეყნებიდან. სომხეთი, აზერბაიჯანი და ყაზახეთი ქილისა და ცივი ჩაის პროდუქციით მარაგდებოდა რუსეთიდან, შექმნილი პრობლემის გამო, პროდუქციის მიწოდება დაეკისრა სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას. ბაზრის ზრდის ტენდენციამ კომპანიას გადააწყვეტინა 2022-2023-2024 წლებში განხორციელებინა ახალი ინვესტიციები: შევსყიდეთ ახალი პეტის ხაზი, ახალი ქილის ხაზი და წყლის სხვადასხვა მოცულობების საწარმოებლად, ახალი პეტის ხაზები. 2025 წელს მწარმოებლებს შევუკვეთეთ ახალი ცხელი ჩამოსხმისა და შუშის მწარმოებელი ხაზების დამზადება, რომლებიც 2026 წელს დამონტაჟდება და გაეშვება ექსპლუატაციაში.

სასმელი წყლის ბაზრის მზარდმა ტენდენციებმა, გამოიწვია კომპანიის ახალი ინვესტიციების განხორციელება, კერძოდ ნატახტარში 2022 წელს შეძენილ ახალ მიწის ნაკვეთზე 2023 წელს დაიწყო სასაწყობე და ახალი წყლის ჩამომსხმელი ქარხნის პროექტირება და მშენებლობა. 2024-ში დასრულდა წყლის ახალი ჩამომსხმელი ქარხანა, რომელშიც დამონტაჟდა 2 ახალი წყლის ჩამომსხმელი უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ხაზის მონტაჟი. 2024 წლის ივნისიდან, დავიწყეთ წყლის დიდი ფორმატის 3000 მლ და 5000 მლ ბოთლების წარმოება, ხოლო სექტემბრიდან 500მლ და 1500 მლ ახალი ფორმატის წყლის წარმოება.

2024 წელს კომპანიამ მიმდებარედ შეისყიდა მიწის ნაკვეთი და აშენებს ახალ სასაწყობე ფართებს.

კომპანიამ 2024 წლის დეკემბერში დაარსა შვილობილი კომპანია შპს „ჯორჯია პალას ჰოტელ და სპა“, რომელმაც 2025 წლის თებერვლის თვიდან სრულად გადაიბარა სასტუმრო GPH-ის ოპერირება თავდაპირველად იჯარით, ხოლო მასისის თვიდან კომპანიას გადაეცა სასტუმროს აქტივები საწესდებო კაპიტალის შევსების გზით.

2025 წლის 1 იანვრიდან „მოწესრიგებული ბაზრის“ (სავაჭრო ქსელების) აქტიური ექსპანსიიდან, საცალოსთან ერთად საბითუმო ვაჭრობაში მათი ჩართულობიდან გამომდინარე, რასაც მწარმოებლებისა და დისტრიბუტორების მომგებიანობის ვარდნა შეიძლება მოყვეს, კომპანიამ გადაწყვიტა საბითუმო ვაჭრობის საკუთარი არხის შექმნა და განვითარება. მიზანია საბითუმო ვაჭრობის როგორც მოცულობითი ზრდა, ისე გეოგრაფიული განშლა. შესაბამისად კომპანია შპს დისტრიბუცა 2024-მა განაახლა საქმიანობა საბითუმო ვაჭრობის მიმართულებით.

3. კომპანიის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოს მიმოხილვა

კომპანია რეგულარულად აწარმოებს ბაზრის კვლევებს. ამჟამად, გვემსახურება როგორც საერთაშორისო კომპანია Canadian, ასევე ქართული კვლევითი კომპანიები. კვლევის მიზანია ბაზრის მოცულობის ზრდის/კლების ტენდენციების შეფასება და კომპანიის პროდუქციის კონკურენტებთან მიმართებით პოზიციების შესწავლა. 2024 წლის შედეგებით, გამაგრებული სასმელების ბაზარზე (კარბონირებული გამაგრებული სასმელები, მინერალური წყალი, მინერალური გაზიანი წყალი, ცივი ჩაი, ცივი ყავა, წვენები, ენერგეტიკული სასმელები) კომპანიას ბაზრის 38% უკავია და ინარჩუნებს ლიდერის პოზიციას.

ასევე კომპანიამ შეიძინა პროგრამა, რომელიც საშუალებას იძლევა შევისწავლოთ მომხმარებლის ქცევა და პრიორიტეტები, დავაკვირდეთ გაყიდვების ტენდენციას გაყიდვების ყველა არხის მსხვილ, საშულო, და წვრილ ობიექტებში.

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება 2024

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

2018 წლის 1 მაისამდე, ქობულეთში, კომპანიის დამოუკიდებელ ერთეულად ოპერირებდა სასტუმრო „ჯორჯიან პალას ჰოტელი“ (Georgian Palace Hotel, GPH). სასტუმრო 2008 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და არის ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსი. 2018 წლის 1 მაისიდან 2024 წლის ბოლომდე, სასტუმრო იჯარით გადაეცა მესამე პირს. კომპანიამ 2024 წლის დეკემბერში დაარსა შვილობილი კომპანია შპს „ჯორჯია პალას ჰოტელ და სპა“, რომელმაც 2025 წლის თებერვლის თვიდან სრულად გადაიხარა სასტუმრო GPH-ის ოპერირება.

2023 წლის 1 ნოემბრიდან, კომპანიამ შპს კოკა-კოლა დისტრიბუციიდან გადმოიხარა თბილისის, გორის, მცხეთის, ახალციხისა და ბათუმის რეგიონის სადისტრიბუციო ქსელები. თბილისის, გორის და მცხეთის რეგიონის მომარაგება ხდება ნატახტრიდან, ხოლო ბათუმის და ახალციხის ოფისი და საწყობები განთავსებულია ქალაქ ბათუმსა და ახალციხეში, კომპანიის კუთვნილ ფართებში. ბათუმის და ახალციხის სადისტრიბუციო ქსელი მუშაობს თბილისის ქსელის მოდელით, რომლის მართვა და კონტროლი ხორციელდება სათაო ოფისიდან. ასევე, იჯარით გვაქვს აღებული საბითუმო მაღაზია თბილისში, რომელიც მარაგდება ყოველდღიურად.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიამ 2018 წელს დაიწყო ახალი ქარხნის მშენებლობა, რომლის დაფინანსების წყარო იყო თიბისი ბანკის მოკლევადიანი სესხები; 2019 წელს, გერმანული საინვესტიციო კორპორაციიდან (DEG) მიღებული თანხით დაიფარა არსებული მოკლევადიანი სესხები; მიღებული თანხები იყო მნიშვნელოვნად ნაკლები საპროცენტო განაკვეთით თიბისი ბანკის სესხთან შედარებით. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად 2023-2024 წელს მოხდა მიღებული სესხების დიდი ნაწილის გადაფარვა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლები.

ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

	დასახელება	2024	2023	აღწერა
1	Revenue/შემოსავალი	503,770	455,115	ზრდის ფაქტორები აღწერილია ზევით, ზრდამ 11% შეადგინა.
2	Gross profit / მთლიანი მოგება	169,448	144,634	მთლიანი მოგების ზრდის ტენდენციაც გაზრდილია 17%-მდე, რაც გამოწვეულია თვითღირებულების შემცირებით შემოსავლის ზრდასთან მიმართებაში, რეალიზებული ასორტიმენტის მომგებიანისკენ ოპტიმიზაციით
3	Operating Profit / საოპერაციო მოგება	83,806	47,757	საოპერაციო ნაწილში მოხდა 75%-იანი ზრდა
4	Profit for the year/წლის ზარალი/მოგება	86,276	42,016	ფინანსური ხარჯისა და შემოსავლის ნაწილში დადებითი სალდოს გამო წლის მოგება გაზარდა 105%-ით
5	TOTAL COMPREHENSIVE INCOME FOR THE YEAR /სულ წლის სრული შემოსავალი	85,007	40,198	სულ წლის სრული შემოსავალი გაიზარდა წინა პერიოდთან შედარებით
6	Gross profit margin / მთლიანი მოგების მარჟა	33.6%	31.8%	კურსის შემცირების ტენდენციამ წლის განმავლობაში გამოიწვია მარაგების თვითღირებულების შემცირება

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება 2024

7	Days Receivables / დებიტორული დავალიანების თანხის მიღების დღეები	16.7	26.8	დებიტორული დავალიანების მიღების დღეების რაოდენობა შემცირდა პარტნიორებთან მოლაპარაკებისა და წლის ბოლოს ვალის განულების ხარჯზე. ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება.
8	Days Inventory / მარაგების დღეები	40.8	35.7	გაყიდვებისა და ახალი პროდუქციის სახეობების ზრდამ გამოიწვია ნედლეულისა და მზა პროდუქციის მარაგების და შესაბამისად საწყობში განთავსების პერიოდის გაზრდა.
9	Net Trade Cycle / წმინდა სავაჭრო ციკლი	5.6	20.1	წინა წელთან შედარებით გაიზარდა ვალდებულებების დაფარვის ვადა, შემცირდა დებიტორული თანხების ამოღების ვადები, შედეგად შემცირდა სავაჭრო ციკლის ვადა.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

	დასახელება	2023	2023	აღწერა
1	Revenue/შემოსავალი	503,770	455,115	ზრდის ფაქტორები აღწერილია ზევით, ზრდამ 11% შეადგინა
2	Gross profit / მთლიანი მოგება	169,448	144,643	მთლიანი მოგების ზრდის ტენდენციაც გაზრდილია 17%-მდე, რაც გამოწვეულია თვითღირებულების შემცირებით შემოსავლის ზრდასთან მიმართებაში, რეალიზებული ასორტიმენტის მომგებიანისკენ ოპტიმიზაციით
3	Operating Profit / საოპერაციო მოგება	81,828	47,936	71%-ით გაიზარდა საოპერაციო მოგება.
4	Profit for the year/წლის ზარალი/მოგება	84,298	42,202	გაიზარდა წლის მოგება 100%
5	TOTAL COMPREHENSIVE INCOME FOR THE YEAR /სულ წლის სრული მოგება	83,029	40,384	106%-ით გაიზარდა წლის სრული მოგება

მთლიანი მოგების მარჯა ერთი და იგივეა კომპანიისა და ჯგუფისათვის.

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება 2024

არაფინანსური ინფორმაცია:

	დასახელება	2024	2023	აღწერა
1	Number of product portfolio / პორტფელში პროდუქციის სახეობების რაოდენობა	82	81	პორტფელს დაემატა წყლის ახალი შეფუთვა
2	Number staff / თანამშრომელთა რაოდენობა	923	496	საწარმოო ხაზების დამატებამ ქარხნის 24/7-ზე მუშაობამ, ახალი სასაწყობო ფართების დამატებამ გამოიწვია სამუშაო ძალის გაზრდა, რაც მომდევნო წლებშიც შენარჩუნდება. ასევე 2023 წლის ნოემბრიდან დისტრიბუციის გადმოხარებამ გამოიწვია თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ზრდა. 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შეადგინდა 826 კაცს (მათ შორის 113 ქალი)

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წლის განმავლობაში, კომპანიას საკუთარ აქციებთან დაკავშირებით ოპერაციები არ განუხორციელებია.

7. დამატებით განმარტებული წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

2024 წელს, კომპანიამ ძირითად მომწოდებლებთან საკრედიტო პირობების შეთანხმების თანახმად, საკრედიტო ლიმიტები გაზარდა 42 დლიდან 52 დლემდე. მარაგების ბრუნვადაც გაიზარდა 5 დლით, ხოლო დებიტორების გადახდის დღე შემცირდა 10 დლით. ჯამში, წმინდა სავაჭრო ციკლი გახდა 6 დღე. მომდევნო წელს იგეგმება სავაჭრო ციკლის დამატებით შემცირება კრედიტორების გადახდის გაზრდის ხარჯზე.

2025 წლის 1 იანვრიდან „მოწესრიგებული ბაზრის“ (სავაჭრო ქსელების) აქტიური ექსპანსიიდან, საცალოსთან ერთად საბითუმო ვაჭრობაში მათი ჩართულობიდან გამომდინარე, რასაც მწარმოებლებისა და დისტრიბუტორების მომგებიანობის ვარდნა შეიძლება მოყვეს, კომპანიამ გადაწყვიტა საბითუმო ვაჭრობის საკუთარი არხის შექმნა და განვითარება. მიზანია საბითუმო ვაჭრობის როგორც მოცულობითი ზრდა, ისე გეოგრაფიული განშლა. შესაბამისად კომპანია შპს დისტრიბუცია 2024-მა განაახლა საქმიანობა საბითუმო ვაჭრობის მიმართულებით.

8. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანია გაყიდვების ძირითად ნაწილს კონსიგნაციაზე ახდენს. ერთის მხრივ, რეგიონალური დისტრიბუტორები გვყავს, მინიმუმ 10 წლიანი ურთიერთობის ისტორიით, მეორეს მხრივ, სწრაფად იზრდება ორგანიზებული ბაზარი ქსელების სახით, რაც ფულადი სახსრების მიღების რისკს ამცირებს, მაგრამ ზრდის საკონსიგნაციო ვადებს. ქსელების განვითარებასთან ერთად, იზრდება დებიტორების შეგროვების პერიოდი, მცირდება კომპანიების მოგება, რაც დამატებით საბრუნავი სახსრების მობილიზების აუცილებლობას იწვევს და ხარჯებს უზრდის კომპანიებს.

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება 2024

მიუხედავად 2019 წელს უცხოური საფინანსო ინსტიტუტიდან მოძიებული საპროცენტო განაკვეთის შემცირებისა, კურსის არასტაბილურობამ გამოიწვია საპროცენტო ხარჯის ზრდა ლარში, ამიტომ 2020 წელს კომპანიამ თავისი სავალუტო ვალდებულებების დიდი ნაწილის გალარება მოახდინა. 2022 წელს ლარში საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვნმა ზრდამ გამოიწვია საპროცენტო ხარჯის მატება. 2023-ში რეფინანსირების კურსმა კლება დაიწყო და ეს დადებითად აისახება საპროცენტო ხარჯზე. მომავალ წლებში კომპანია ვარაუდობს დაბალანსებული საკრედიტო პოლიტიკის წარმოებას, საერთაშორისო ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების კლების ფონზე. 2024 წელს ფინანსური სტაბილურობის შედეგად მოხდა სასესხო ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის დაფარვა, რამაც კიდევ უფრო გააუმჯობესა კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები. ახალი გრძელვადიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად 2025-ში ვგეგმავთ დამატებით 11 მლნ ევროს ფინანსირების მიღებას გერმანული საინვესტიციო კორპორაციიდან DEG.

9. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკის მართვის თვალსაზრისით

	არსებული რისკების აღწერა	მენეჯმენტის გეგმები რისკების პრევენცია
1	კომპანიისათვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა, რომელიც ქვეყნის გარედან მოქმედი ან შიდა ფაქტორების ზემოქმედებით შეიძლება იქნეს გამოწვეული. პროდუქციის წარმოებისას თვითღირებულების სოლიდური წილი იმპორტირებულ ნედლეულს უკავია.	აქტიურად ვაკვირდებით სავალუტო ბაზრის ტენდენციებს, მცდილობთ მაქსიმალურად კარგი გაცვლის კურსის მიღებას. კურსის ტენდენციიდან გამომდინარე საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალის დასაფარად ვაკორექტირებთ სარეალიზაციო ფასებს.
2	პროდუქციის მარკირება - არაალკოჰოლური სასმელების სავალდებულო მარკირების გადასახადი 5,5 ევრო 1,000 ცალზე. ეს არის ადმინისტრირების მექანიზმი, რომლის კერძო სექტორისთვის დაკისრება დიდ ფინანსურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.	ფინანსთა მინისტრის 994 ბრძანებით დღემდე კომპანიების ვალდებულებას მარკირების გადასახადის გადახდა, თუმცა ყოველწლიურად შემოსავლების სამსახური ერთჯერადი აქტით ოპერატორს უხდის ყოველ ბოთლზე 1 თეთრს. კომპანია და დარგობრივი ასოციაცია პერმანენტულად მუშაობს ფინანსთა სამინისტროსთან პრობლემის მოსაგვარებლად
3	მეწარმის გაფართოვებული ვალდებულება - ახალი ნარჩენების კოდექსის მიხედვით მეწარმეებს/იმპორტიორებს გვევალება ჩვენი პროდუქციის ბაზარზე განთავსების შედეგად წარმოქმნილი შესაფუთი ნარჩენების შეგროვება, ლიცენზირებულ გადამამუშავებელთან მიტანა, გადამუშავება.	ჯერ-ჯერობით გაურკვეველია რა დანახარჯებთან იქნება დაკავშირებული დასახული მიზნების შესრულება. ჩვენ მუდმივად ვაკონტროლებთ მიმდინარე პროცესს. საოპერაციო სქემა ჯერ არ არის ბოლომდე გარკვეული. იყო ვერსია, რომ იქნებოდა EPR-ის დეპოზიტური სისტემა, თუმცა საბოლოოდ დარწმუნებით არ არის ცნობილი. როგორ იმოქმედებს DRS დარგის გაყიდვებზე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი მომზადებული შევხვედებით დეპოზიტურ სისტემას - სახელმწიფო და მუნიციპალური სტრუქტურები, კერძო ბიზნესი და ლიცენზირებული გადამამუშავებლები.
4	2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა განაპირობა მრავალი კომპანიის დახურვა და სანქციების დაწესება რუსულ კომპანიებზე და მათ მფლობელებზე, რამაც შესაძლო საშიშროება წარმოშვა კომპანიის მომწოდებლებთან ურთიერთობაზე.	კომპანიამ მოახდინა მომწოდებლების გადახედვა. რუსულ კომპანიებთან ნაკლები ურთიერთობის გამო, კომპანიაზე არ მომხდარა რაიმე უარყოფითი გავლენა. პირიქით, არსებულმა სიტუაციამ გამოიწვია ახალი მომხმარებლის გაჩენა სომხეთისა და აზერბაიჯანის კოკა-კოლას სახით, რომლებსაც ქილისა და ცივი ჩაის წარმოება არ გააჩნია და

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება 2024

		პროდუქცია მიეწოდებოდა რუსეთიდან. აღნიშნულმა მოთხოვნამ მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია დაგეგმილ ციფრებში 2024 წელს.
--	--	---

ვახტანგ ლალიძე

გიორგი ახალაძე

დირექტორი


ფინანსური მენეჯერი

2025 წლის 4 ივლისი

Coca-Cola

კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია
ჯგუფის მმართველობითი ანგარიშგება 2024

		პროდუქცია მიეწოდებოდა რუსეთიდან. აღნიშნულმა მოთხოვნამ მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია დაგეგმილ ციფრებში 2024 წელს.
--	--	---


გინტანტ ლაიდიშე

დირექტორი

2025 წლის 4 ივლისი


გიორგი ახალაძე

ფინანსური მენეჯერი

Coca-Cola